კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ანნა გელაშვილი

,,ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნების თავისებურებები და რუსეთის შესაძლო გავლენა 2016 წლის პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიაზე“

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი : პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი: თამარ კიკნაძე

თბილისი -2018

ანოტაცია

,,ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნების თავისებურებები და რუსეთის შესაძლო გავლენა „

სამაგისტრო თემა ეხება საერთაშორისო ურთიერთობების მეტად აქტუალურ პრობლემას - ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნების თავისებურებებს და რუსეთის შესაძლო ჩარევას 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში. მასში განხილულია და გაანალიზებულია : ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნების ძირითადი ისტორიული მახასიათებლები, ელექტორატზე გავლენის სოციალურ - პოლიტიკური და ეკონომიკური მეთოდები და ახალი ტენდენციები საპრეზიდენტო არჩევნების პოლიტიკურ პროცესში. აშშ - რუსეთის ურთიერთობები და კიბერშეტევის შესაძლებლობები.

ამერიკული საპრეზიდენტო არჩევნების თავისებურებები. თანამედროვე სამყაროში, რომელიც სწრაფი გლობალური განვითარებით ხასითდება, საზოგადოების ლექსიკაში არა მხოლოდ განვითარებადი, არამედ განვითარებული ქვეყნების საზოგადოებისთვისაც იკვეთება ტერმინები, რომლებიც დღესდღეობით უკვე მყარად იმკვიდრებს თავს. ასეთი სახის ტერმინებია : კიბერსივრცე, ინფორმაციული ომი, ინფორმაციული უსაფრთხოება, კიბერდანაშაული თუ კიბერშეტევა. ყოველივე ეს კი წარმოადგენს ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ კომპლექსს, რომელიც XXI საუკუნის გლობალურ პრობლემად არის მიჩნეული.

ბოლო წლებში ე.წ „ინფორამციული აფეთქების“ უნებლიე მოწმენი გავხდით, როდესაც ინფორმაციულ ქსელებზე მისი დაშვებისა თუ გამოყენების მართვა ფაქტიურად შეუძლებელი გახდა.

საერთაშორისო ურთიოერთობების ისტორიაში საკვანძო მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს ამერიკის შეერთებული შტატების 2016 წლის არჩევნების თავისებურებები. იგი მჭიდროდ არის კავშირში, ისეთი სახის პრობლემებთან, რასაც დღესდღეობით მსოფლიოს ყველა ქვეყანა ებრძვის. გამომდინარე იქიდან რომ XXI საუკუნეში ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ, როგორც დადებითი დატვირთვა შესძინა ჩვენს ყოფას, ასევე მკვეთრად გამოხატა მისი უარყოფითი მხარეებიც. ამასთან აღსანიშნავია, ის ფაქტიც რომ უარყოფითი მხარე არა მხოლოდ ყოფით, არამედ გლობალურ დონეზეც იყოს ზიანის მომტანი.

ჩვენ შევეცადეთ, ნაშრომში სიღრმისეულად გადმოგვეცა და გაგვეანალიზებინა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები. ნაშრომში აგრეთვე განხილულია ის ძირეული დოკუმენტები, რომელიც უკავშირდება ამერიკის შეერთებული შტატების საარჩევნო სისტემას და მის უსაფრთხოებას. ასევე გამახვილებულია ყურადღება რუსეთის კიბერ შეტევებზე, რომელიც ბოლო დროს ფართო განხილვის საგანი გახდა.

Annotation

Properties of the US presidential election and the possible impact of Russia

The topic concerns the actual issue of international relations - the properties of the US presidential election and the possible involvement of Russia in the presidential election of 2016. The main historica characteristics of the US presidential elections, socio-political and economic methods of influence on the electorate and new trends in the political process of the presidential elections are examined and analyzed. US-Russian relations and the possibilities of cyberattacks.

Properties of the American presidential election. In today's world, which is characterized by rapid global development, in social vocabulary, not only for developing, but also for the communities of developed countries, terms that have been firmly established today are singled out. Terms of such types: Cyberspace, Informative warfare, Informative security, Cybercrime or Cyberattacks. All this represents an informative-technological complex, which is a problem of the XXI Century.

In recentyears, we have witnessed a so-called "informative explosion", when on informative networks the management of its capabilities or uses became virtually impossible.

In the history of international relations, an important phenomenon can be considered the property of elections in 2016 in the United States. It is closely connected with such problems with which all countries of the world are struggling to date. Proceeding from the fact that in the 21stcentury, the rapid development of technology, how it positively affected our life, and clearly expressed its negative aspects, we should also note the fact that the negative side not only of life but also at the global level was flawed.

We have tried in the work to deeply convey and analyze the above problems. The paperal so discusses the main documents related to the US selective system and its security. Attention has also been paid to the cyberattack of Russia, which has recently become a subject of wide consideration.

Anna Gelashvili

სარჩევი

შესავალი..... 6

I.თავი. აშშ საპრეზიდენტო არჩევნების ძირთადი ისტორიული მახასიათებლები.

1.1 სოციალურ-პოლიტიკური სტაბილურობის კონსტიტუციური საფუძვლები და აშშ ელექტორალური პროცესის თავისებურებები…..11

1.2ორპარტიული სისტემა და მისი როლი საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიებში…… 19

II.თავი ელექტორატზე გავლენის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ფორმები და მეთოდები.

2.1 საპრეზიდენტო არჩევნების ფინანსირების პრაქტიკა……..24

2.2 საარჩევნო პროცესზე ზემოქმედება ახალი ტექნოლოგიებით…… 28

III.თავი ახალი ტენდენციები საპრეზიდენტო არჩევნების პოლიტიკურ პროცესში.აშშ-რუსეთის ურთიერთობები და კიბერშეტევის შესაძლებლობები.

3.1აშშ-რუსეთის ურთიერთობები ობამას ადმინისტრაციის დროს…… 36

3.2 კიბერუსაფრთხოების პრობლემები……43

3.3 სავარაუდო მექანიზმები და მიზეზები კიბერშეტევისთვის……50

შესავალი

სამაგისტრო ნაშრომი აქტუალურია მასში განხილული თემატიკიდან გამომდინარე. ჩვენ სიღრმისეულად გავეცანით კონსტიტუციას, რომელიც ძირითადად განსაზღვრავს საარჩევნო კანონმდებლობას და რეჟიმს. ნაშრომში საკვანძო საკითხს წარმოადგენს 2016 წლის ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც ფართო განხილვის საგანი გახდა. ნაწილი მიიჩნევდა და ახლაც მიიჩნევს, რომ არჩევნებში რუსეთის ჩარევა ნათლად იკვეთება, რასაც რუსეთი კატეგორიულად უარყოფს.

როგორც ვიცით, ამერიკის შეერთებული შტატები სწორედ ის ქვეყანაა, სადაც პირველად ჩამოყალიბდა საპრეზიდენტო მმართველობის ფორმა და კონსტიტუციურად გაფორმდა კიდეც, როგორც საპრეზიდენტო რესპუბლიკა. ამერიკის შეერთებული შტატები მიეკუთვნება ორპარტიულ სისტემას. ორივე პარტიის რესპუბლიკელების და დემოკრატების ისტორია 1700_იანი წლებიდან იღებს სათავეს, ხოლო 1800 წლის შუა პერიოდიდან ისინი საბოლოოდ, ისეთი სახით ჩამოყალიბდნენ, როგორი სახითაც დღესდღეობით ვხედავთ. როგორც წესი, პოლიტიკური პარტიების სიძლიერე განაპირობებს სახელმწიფოს დემოკრატიულ განვითარებას.

ამერიკის საარჩევნო სისტემა ეფუძნება კარგად გათვლილ საარჩევნო სამართალს, თუმცა საარჩევნო სისტემა საუკუნების მანძილზე დავის საგანს წარმოადგენდა, რადგან მასში უამრავი შეზღუდვა არსებობდა. 1870 წელს კი

საარჩევნო სისტემაში შესწორებები შევიდა და დღესდღეობით, შტატების არჩევნები ყველაზე დემოკრატიულ მოდელს წარმოადგენს.

თემის აქტუალობა - ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოს წამყვან ქვეყანას წარმოადგენს. თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, იგი მართლაც, ღირსეულად ატარებს ჰეგემონობის სტატუსს. სწორედ ამიტომ, მსოფლიოს ესა თუ ის ქვეყანა, დიდი მონდომებით ესწრაფვის მის სტრატეგიულ პარტნიორად ყოფნას.

ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნების თავისებურებები და რუსეთის შესაძლო ჩარევა 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე, მეტად საინტერესო პრობლემატიკაა. აქტუალობა კი, მსოფლიოს ერთ ჰეგემონზე (აშშ) მეორე ჰეგემონის (რუსეთი) გავლენიდან გამომდინარეობს. მოგეხსენებათ, ამერიკის შეერთებული შტატების არჩევნები, არა მხოლოდ ამერიკისთვის, არამედ მთელი დემოკრატიული სამყაროსათვის არის გადამწყვეტი, რადგანაც ამერიკის პოპულარული იდეოლოგია, მსოფლიო იდეოლოგიურ კლიმატს განსაზღვრავს. ნაშრომში სიღმისეულად განვიხილავთ არჩევნების თავისებურებებს, მისი ფინანსირების საკითხს, ყველა შესაძლო ზეგავლენას მასზე და თანამედროვე ტექნოლოგიების როლს საარჩევნო სისტემაში, რაც თანამედროვე მსოფლიოში არსებული ყველა სახელმწიფოსა თუ ზესახელმწიფოს დემოკრატიულობისთვის განმსაზღვრელი ნიუანსებია. ჩამოთვლილის ინფორმაციულად შეჯამება საშუალებას მოგვცემს, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სწორი ანალიზი გავაკეთოთ.

თემის ჰიპოთეზა – ცივი ომის დასრულების შემდე,გ მსოფლიოში ახალი გეოპოლიტიკური რეალობა შეიქმნა, რაც გულისხმობდა ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც სუპერსახელმწიფოს ჰეგემონიას. 21-ე საუკუნეში პოლიტიკურ სცენაზე წარმოჩინდნენ სახელმწიფოები, რომლებიც ცდილობენ შეცვალონ

შტატების, გეოპოლიტიკური გავლენა და ახალი მრავალპოლარული მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებას შეუწყონ ხელი.

მსოფლიო ცივილიზაციიდან მოყოლებული ვითარდება კაცობრიობის ცნობიერება. დამეთანხმებით განვითარება მკვეთრ ტრანსფორმაციებს განიცდის და დღითიდღე მიიწევს სრულყოფილებისაკენ. სწორედ მასზე დაყრდნობით იცვლება გეოპოლიტიკური კულტურა და ცნობიერებაც. მოიაზრება, რომ 2016 წლის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია რუსეთის მხრიდან განხორციელებულმა კიბერ შეტევამ და ტრამპის პრეზიდენტად არჩევამ.

შესაბამისი კვლევის მეთოდებით კი ტექსტის ძირითადი ნაწილი თემის ირგვლივ სხვადასხვა აქტუალურ საკითხებს ეხება, საბოლოოდ კი დასკვნაში ვაჯამებთ ისეთ საკითხებს, რომლებიც ძალზედ მნიშვნელოვანია პრობლემების აღმოსაფხვრელად.

საკვლევი კითხვები:

1. რა მოტივაცია ჰქონდა რუსეთს განეხორციელებინა კიბერშეტევა ?

2. ჰქონდა თუ არა რუსეთს რეალური შანსი განეხორციელებინა კიბერშეტევა ?

მიზანი და ამოცანები - თანამედროვე სამყარო მთლიანად ვირტუალური სამყაროსა და ინტერნეტ კავშირის ეპოქად იქცა. მიუხედავად, ინტერნეტ სივრცის გამოყენების დადებითი მხარისა, იგი არ იძლევა ამ კავშირების უსაფრთხოების გარანტიებს, რაც მნიშვნელოვანი საფრთხის წინაშე აყენებს, როგორც უბრალო მოქალაქეებს, ასევე მსოფლიო ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ მთლიანად გლობალურ ინფრასტრუქტურას. ჩამოთვლილი მიზეზებიდან გამომდინარე, კიბერ უსაფრთხოება თანამედრო სამყაროს ნამდვილ გამოწვევას წარმოადგენს, რომელთან გამკლავებაც შესაძლებელია სამართალმცოდნეების, უსაფრთხოების ექსპერტებისა და საზოგადოების აქტიური მონაწილეობით.

სამაგისტრო კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს, შევისწავლოთ ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნების თავისებურებები და საარჩევნო სისტემებზე შესაძლო ჩარევის პერსპექტივები გამოვკვეთოთ. თუ როგორ შეიძლება მოხდეს აღნიშნული პრობლემების გამოკვეთა კონკრეტულ საკითხებში და მათი ანალიზი. შესაბამის ლიტერატურაზე დაყრდნობით, სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით, ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე ისტორიულ ანალიზთად ერთად, მისი მეცნიერული ანალიზი, მოგვარების შესაძლო გზების დასახვა და გარკვეული რეკომენდაციების შედგენა დავისახეთ მიზნად.

კვლევის მეთოდები - ნაშრომის წერისას ჩვენი მიზნებიდან გამომდინარე, ვეყრდნობით პოლიტიკის მეცნიერებაში ფართოდ გავრცელებულ და აპრობირებულ მეთოდებს, კერძოდ, ისეთს, როგორებიცაა: შედარებითი ანალიზი, ისტორიული ანალიზი, კონტენტ-ანალიზი, სიტუაციური ანალიზი, საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული დოკუმენტების შესწავლა და მათი განხილვა. კვლევის პროცესში დამუშავებული გვაქვს სხვადასხვა სახელმწიფო მოღვაწეთა, მეცნიერთა, მკვლევართა ნაშრომები თემის ირგვლივ, ასევე შესწავლილი გვაქვს საგაზეთო თუ ინტერნეტ სტატიები, ინტერვიუები პოლიტიკურ ექსპერტებთან, იმის ნათელსაყოფად, თუ რამდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენი კვლევის ობიექტი კერძოდ რუსეთის ჩარევა, ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში. არჩევნებზე ზეგავლენის მოხდენა და ასევე თუ რა სახის პრობლემები შეიძლება განვითარდეს კიბერ ჩარევებიდან გამომდინარე. (კვლევის შედეგებისთვის გამოყენებული მასალები დეტალურად არის აღწერილი ბიბლიოგრაფიაში).

კვლევის მეთოდოლოგია - რაც შეეხება კვლევის მეთოდოლოგიას, ნაშრომის წერისას ჩვენი მიზნებიდან გამომდინარე, ვეყრდნობით პოლიტიკის მეცნიერებაში ფართოდ გავრცელებულ და აპრობირებულ, რეალიზმის სკოლის წარმომადგენლების: ბენუასა და საარცევნო კამპანიის ფუნქციონალურ თეორიას, მარკივის კიბერუსაფრთხოების მოდელზე დაყრდნობით.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა - სამაგისტრო ნაშრომს აქვს, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა, ვინაიდან, მასში შესწავლილი და გაანალიზებულია ამ პრობლემის თეორიული ასპექტები: ამერიკის საარჩევნო სისტემის თავისებურებები, კიბერტერორიზმის შესაძლო საფრთხეები და მისი შედეგები.

ნაშრომი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას პრაქტიკული თვალსაზრისითაც, ჩართულ იქნას სალექციო კურსებში და დაინტერესება ჰპოვოს ფართო აუდიტორიაში, რომელთა ინტერესის სფეროს წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების და პოლიტიკის მეცნიერების საკითხები.

გამოყენებული ლიტერატურა: ნაშრომის წერისას ვეყრდნობით შემდეგი ავტორების სამეცნიერო ლიტერატურას: 1) საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. სსპ კიბერუსაფრთხოების ბიურო -კიბერთავდაცვა. კიბერსივრცის მთავარი მოთამაშეები. კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა, სტრატეგია და გამოწვევები - თბილისი 2015, ამ ნაშრომში კარგად არის გადმოცემული, კიბერსივრცის უზრუნველყოფისა და მისი მაქსიმალური დაცვის საკითხები. ნაშრომში ასევე მოცემული სხვადასხვა წამყვანი ქვეყნების კიბერპოლიტიკა, რაც გვიადვილებს შემაჯამებელი ანალიზი გავაკეთოთ თუ რომელი ქვეყანას რა სახის კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა, რა სტრატეგიები და საერთო რეკომენტაციები და პრინციპები აქვთ. ასევე ნაშრომში განხილულია 2) რუსეთის კიბერშესაძლებლობები - (კვლევა)- ნიკოლოზ კოხრეიძე - ზოგადი მიმოხილვა. -2013/16/01- დროთა განმავლობაში არამარტო ახალგაზრდების დაინტერესება, არამედ სრულიად საზოგადოების ინტერესთა სფეროდ მოიაზრება ინტერნეტ სივრცე. ეს კვლევა არის საინტერესო ფაქტებზე დაყრდნობით, რომელიც პრაქტიკული მაგალიტებით გამოირჩევა. 3)მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი - საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი - კრებული I.- პოლიტიკურ - სამართლებრივი ლიტერატურის სერია - წიგნში სიღრმისეულად არის განხილული ამერიკის საარჩევნო სისტემა, პრეზიდენტის როლი, როგორც სახელმწიფო მეთაური. გაჯერებულია კონსტიტუციური კანონებით და დეტალურად

არის განხილული თუ ვის რა უფლება მოვალეობები აქვთ კონსტიტუციურად. 4)ინფორმაციული საზოგადოება და ინფორმაციის სამართლებრივი რეგულაციები - მარიამ ცაცანაშვილი.(თბილისი ტექინფორმი -1999)- წიგნში განხილულია, ინფორმაციული ტექნოლოგიები, საფრთხეები და მისი პრევენციები. წიგნი პრაქტიკულ მასალებზეა აგებული.

I.თავი. აშშ საპრეზიდენტო არჩევნების ძირთადი ისტორიული მახასიათებლები.

1.1 სოციალურ-პოლიტიკური სტაბილურობის კონსტიტუციური საფუძვლები და აშშ ელექტორალური პროცესის თავისებურებები.[1]

როგორც ჩვენთვის ცნობილია, სიტყვა კონსტიტუცია ლათინური სიტყვიდან „CONSTITUTIO" მომდინარეობს, რაც ნიშნავს დადგენას, დაწესებას. კონსტიტუცია განსაკუთრებული წესით მიღებული უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე კანონია, სადაც განსაზღვრულია სახელმწიფოს პოლიტიკური წყობა, სამოქალაქო პრინციპები თუ მოქალაქეთა უფლებები. კონსტიტუცია მკვეთრად გამოკვეთს ადამიანების თავისუფლებას და ასევე არეგულირებს მას. კონსტიტუცია უმთავრეს როლს თამაშობს ქვეყნის არა მარტო პოლიტიკური,არამედ ეკონომიკური კურსის შემუშავებაშიც.

თანამედროვე კონსტიტუცია არის როგორც წესი ან ერთი ნორმატიული აქტი (მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც) ან რამდენიმე კონსტიტუციური ან ორგანული კანონის ერთობლიობა მაგალითად: შვედეთში,ესპანეთსა და ფინეთში. კონსტიტუციის მიღების უფლება ბუნებრივია სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად ხდება, გამომდინარე ქვეყნის იდეოლოგიიდან, ინტერესებიდან,ტრადიციებიდან თუ ფასეულობებიდან.

[1] https://qetasblogiblog.wordpress.com - რა არის ანოტაცია. 16.04.2018

მაგალითად: იტალიასა და ინდოეთში კონსტიტუციას დამფუძნებელი კრება, საფრანგეთსა და თურქეთში კი ქვეყნის საარჩევნო ორგანო იღებს, რეფერენდუმის ჩატარების შემდეგ, ხოლო ირანსა და ავღანეთში ამ საკითხს ერთპიროვნულად წყვეტს ქვეყნის პრეზიდენტი.

კონსტიტუცია უნდა გამოხატავდეს საზოგადოების ნებას და ბუნებრივია ის უნდა იყოს განხორციელებადი იმ საზოგადოებაში, რომელზეც გათვლილია, წინააღმდეგ შემთხვევაში ის მხოლოდ ფორმალურ ნაწერად ჩაითვლება. ვინაიდან კონსტიტუცია წარმოადგენს საზოგადების შეთანხმების შედეგს. მასში თავიდან უნდა იქნას აცილებული ის ზიანი, მმართველობა და შეცდომები,რომელმაც საზოგადეობა შესაძლოა არასახარბიელო მდგომარეობაში ჩააყენოს. ხშირად გვსმენია კონსტიტუციას, როგორც ყველაზე ზემდგომ, მთავარ კანონად მოიხსენიებენ. რა თქმა უნდა, ასეც არის. ის იერარქიით ყველა კანონზე მაღლა დგას, თუმცა ის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მხოლოდ კანონთა ერთობლიობა. კონსტიტუცია არა მარტო განსაზღვრავს სახელმწიფოს მოდელს, არამედ ძალიან ბევრ სამომავლო კითხვას პასუხს სცემს, თუ როგორ უნდა შენდებოდეს სახელმწიფო. გაცილებით სამართლიანი შედარება იქნებოდა, თუ მას,როგორც „სახელმწიფოს შენებისა და განვითარების“, როგორც ერის დაფუძნებისა და სახელმწოფოს სიმბოლოსისე შევხედავთ. აქედან გამომდინარე, კონსტიტუციას არა მხოლოდ პოლიტიკური და სოციალური დატვირთვა აქვს,არამედ ის იქმნება მომავალი საზოგადოების დასაგეგმად, რათა წარსული უარყოფითი გამოცდილებები თავიდან იქნეს აცილებული. კონსტიტუცია უნდა იყოს ნათელი და გამჭირვალე, ის არ უნდა წარმოადგენდეს ბურუსით მოცულ დოკუმენტს, რომელიც უამრავ კითხვასსვამს და ძალიან ბევრ გაურკვევლობას ტოვებს საზოგადოებაში.მის ნორმებს უნდა შეეძლოს მომავალი თაობისთვის მიმართულების მიცემის საშალება. სწორედ აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვეყრდნობოდეთ იმ ფაქტებს, რომ კონსტიტუცია არის ისეთი დებულებების ერთობლიობა, რომელიცგანსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოების ფორმირებასა

და საქმიანობის პრინციპებს, ასევე სახელმწიფოს მოწყობის ფუნდამენტალურ ღირებულებებს. ჩვენ ვიცით, რომ არსებობს დაწერილი და დაუწერელი კონსტიტუციები. მათმკვეთრი განმანსხვავებელი ნიშნები ახასიათებთ, დაუწერელს ვერ შევხვდებით ერთიანი დოკუმენტის სახით. ის მოიცავს სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებს, ხოლო დაწერილი კონსტიტუცია ერთიანი დოკუმენტის სახითაა. კონსტიტუცია ძირითადად დაწერილი ფორმით გვევლინება, თუმცა არსებობს გამონაკლისი დაუწერელი კონსტიტუციის თვალსაჩინო მაგალითები - ინგლისსა და ისრაელში. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კონსტიტუციების კლასიფიკაციები იყოფა მათი მოქმედების ვადის მიხედვით, როგორც დროებითი და მუდმივი. დროებითია კონსტიტუცია, რომელიც მიღებულია გარკვეული ვადით ან გარკვეული ფაქტის დადგომამდე, შემდეგ კი,წყვეტს მოქმედებას. მუდმივი კონსტიტუციის შემთხვევაში კი ბუნებრივია მისი მოქმედება განუსაზღვრელი დროით ხდება.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კონსტიტუციის მიღებისას უნდა იქნეს გათვალისწინებული არა კონსტიტუციის ავტორების მოსაზრებები, არამედ საზოგადოების, მოქალაქეების ნებაც. როგორც წესი, კონსტიტუციის შექმნის პროცესი უნდა დაიწყოს გარკვეული წერტილიდან. დღესდღეობით, კონსტიტუციის შექმნის პროცესს ეხმარება საერთაშორისო საზოგადოება ან საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორებიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციები ან ინდივიდუალური სახელმწიფოები. ასეთი სახის დახმარებითი ჩარევები ხდება, როდესაც წარმოიშვება გარკვეული სახის სირთულეები, რაც მოგეხსენებათ კონსტიტუციის შექმნის პროცესში საკმაოდ რთულ საკითხს წარმოადგენს, რადგან დამეთანხმებით, კონსტიტუცია წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან დოკუმენტს. აქედან გამომდინარე, ხდება განსხვავებული სტრუქტურების პოლიტიკური შედეგების განსაზღვრა საჭიროების შემთხევვაში. აღსანიშნავია ისლანდიის მაგალითი, როდესაც ისინი აღმოჩნდნენ მწვავე ეკონომიკური კრიზისის წინაშე, 2008 წლის მიწურულს მათ გადაწყვიტეს, რომ კონსტიტუცია გადასინჯვას

საჭიროებდა, სადაც საზოგადოების ჩართულობა იყო საჭირო. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თითოეულ მოქალაქეს შეეძლო სხვადასხვა სოციალური ქსელის საშუალებით მიეღო მონაწილეობა მის განმტკიცებაში. ისლანდიის ხელისუფლებამ ეს საჭიროდ ჩათვალა, რადგანკონსტიტუცია ქვეყანაში ყოფილიყო ისეთივე სანდო, როგორიც არის ის დღეს.

ყველასათვის ცნობილია, რომ ამერიკის კონსტიტუცია 1787 წელს შეიქმნა, თუმცა დამეთანხმებით, მის იდეოლოგიას ღრმა წარსული აქვს. კონსტიტუცია დასავლური განათლებული აზროვნების პროდუქტი იყო და არ შეიძლებოდა გაჩენილიყო უბრალოდ, როგორც ჩვეულებრივი საკონსტიტუციო კონვენტი, რომელიც მიღებული იყო საზაფხულო სხდომების შედეგად. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ისტორიკოსებისა თუ პოლიტიკოსების მიერ ძირეულად შესწავლილია ეს უდიდესი ძალის მქონე კანონი, რათა გამოეკვეთათ კონკრეტული, განსაკუთრებული შთაბეჭდილება კონსტიტუციის შემქმნელებზე. ისტორიკოსებისადა პოლიტიკოსების ნაწილი ჯონ ლოკს მიიჩნევდნენ, იყოფოდა აზრი მონტესკიესა, შოტლანდიელ დევიდ ჰიუმსაა და შვეიცარიელ ბურმალაკს შორის. თუმცა ერთი ავტორის მოძიება, ასე იოლად და პირდაპირ დამეთანხმებით ვერ იჩენდა თავს. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ფილოსოფოსებისა თუ ისტორიკოსების როლი სერიოზული გავლენა იყო XVIII საუკუნის 80_იანი წლების ამერიკელთა მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე, რომელიც შემდგომ ამერიკის პოლიტიკური კულტურის განუყოფელი ნაწილი გახდა, იმდროინდელი გამოცდილი, პოლიტიკური ლიდერებისთვის, რომლებსაც ამოძრავებდათ ცოცხალი ინტერესები იდეების მიმართ და რომლებიც მიისწრაფოდნენ თეორიული დასაბუთებისკენ, რამაც დიდი გავლენა მოახდინა მათ მიერ შექმნილ კონსტიტუციაზე.

ამერიკული რევოლუციის მთავარ ამოცანად რესპუბლიკის დაფუძნება იყო, რაც იმდენად ღრმადა ფესვებგადგმული იყო, სულიერი ღირებულებების და

იდეების ნაზავით გაჯერებული, რომ ეს ყოველივე ამერიკული აზროვნების თავისებური წინამძღვარიც გახდა.

XVIII საუკუნის დასაწყისში, როდესაც მთელ მსოფლიოში მონარქიული წყობა ბატონობდა, რესპუბლიკური იდეები,რთულად აღსაქმელი იყო, რომელიც როგორც პროტესტის იდეოლოგია ისე აღიქმებოდა,რაც იმ დროისათვის არ მიიჩნეოდა მისაღებად, როგორც დემოკრატიული რევოლუციის იდეოლოგია. მაგრამ XVIII საუკუნის ბოლოსკენ უკვე ყველა მოაზროვნერესპუბლიკური იდეების გამზიარებლად გვევლინება. საინტერესოა ამ იდეების არსი, თუ რას გულისხმობდნენ ეს იდეები? აღარ უნდა ეარსება მეფის ძალაუფლებას. რესპუბლიკური იდეოლოგიის გამზიარებლები მიიჩნევდნენ, რომ მონარქიული სისტემა გულგრილად იყო ხალხის კეთილდღეობის მიმართ განწყობილი, ამიტომ რეფორმატორებს მიაჩნდათ იდეალურ შესაძლებლობად ხალხის მიერ არჩეული მთავრობა. ის უკეთ მაოხერხებდა ეზრუნა მათ კეთილდღეობაზე.

1787 წელს, როდესაც ამერიკელები აქტიურად შეუდგნენ კონსტიტუციის მზადებას, ძირითადი იდეები ხელისუფლების დანაწილების მდგომარეობდა შემდეგში: დაყოფილიყო ხელისუფლება და შექმნილიყო რამდენიმე ორგანო, რომელსაც ერთმანეთის გაკონტროლება შეეძლებოდათ. მოგეხსენებათ 1776 წლის 6 ივლისს, ფილადელფიაში გამოცხადებულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობა. სადამფუძნებლო დოკუმენტს „Bill of independence" or " declaration of independence" წარმოადგენდა, როგორც ჩვენთვის ცნობილია, დეკლარაცია 11 შტატის მიერ იყო ხელმოწერილი, ხოლო დარჩენილი ორი შტატი ბრიტანეთის მოდელს უჭერდა მხარს.ეს დეკლარაცია დაწერილი იყო თომას ჯეფერსონის მიერ. თავდაპირველად, როგორც ვიცით, აზრთა სხვადასხვაობა იყო იმის თაობაზე თუ რომელი მმართველობის ფორმა იქნებოდა სისტემისთვის მოსახერხებელი.1773 წელს კი უკვე ცამეტივე შტატის მიერ იყო ხელმოწერილი, რაც სრულ მხარდაჭერას ნიშნავდა. 1781 წლიდან კი ძალაში შევიდა. კონსტიტუცია სისტემური თვალსაზრისით გამოყოფს ხელისუფლების სამ

შტოს, ესენია: საკანონმდებლო - ბიკამელარული კონგრესი, აღმასრულებელი ხელისუფლება- პრეზიდენტი და სასამართლო ხელისუფლება უზენაესი სასამართლო. ის წარმოადგენს თანამედროვე კონსტიტუციური სამართლის ისტორიაში ყველაზე მოკლე და პირველ კონსტიტუციას.

აშშ-ს კონსტიტუცია, როგორც ცნობილია 7 მუხლისა და 27 დამატებისგან შედგება. პრეამბულის უმთავრესი და უპირველესი არსია „ჩვენ, შეერთებული შტატების ხალხი...“, სადაც ხალხის მიზანი მართლმსაჯულებაა, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს სამართლიანი,სადაც უნდა იყოს უზრუნველყოფილი შინაგანი სიმშვიდე და დავდაცვა, სადაც აუცილებელი ფაქტორია, საზოგადოების კეთილდღეობა იყოს შენარჩუნებული.[2]

შეერთებული შტატების კონსტიტუცია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველაზე მოკლეა ისტორიაში, მასში მოკლედ არის განხილული ყველა ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რაც მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის, კარგად არის გამოკვეთილი თუ რაზე დგას დღესდღეობით სახელმწიფო. კონსტიტუციის პირველ მუხლში კონგრესის სტრუქტურა, პალატების წევრთა რაოდენობა და..[3]

წევრობის კანდიდატებისთვის წაყენებული მოთხოვნებია მოცემული, ასევე კონგრესის და თითოეული პალატის უფლებამოსილება, საქმიანობები, ხელმძღვანელი პირები,იმპიჩმენტის წესები და მისი სამართლებრივი შედეგები. I მუხლში ასევე განსაზღვრულია გადასახადების საკითხი, მოქალაქეობის დადგენა და კონგრესის პალატების ფორმირების წესები,ასევე საარჩევნო უფლების განხორციელების ასაკი.[4]

მეორე მუხლში განსაზღვრულია პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობები, მექანიზმი პრეზიდენტის იმპიჩმენტის, პრეზიდენტის უფლება-

[2] https://photos.state.gov/libraries/adana/30145/publications-other-lang/GEORGIAN.pdf -უფლებათა ბილი (15,05,2018)

[3]საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი - ოთარ ჭილაძე

[4] https://matekari.wordpress.com - ამერიკის პოლიტიკური სისტემა (15,06,2018)

მონაცვლეობის საკითხი და მისი კონკრეტული უფლება - მოვალეობები. მისი ურთიერთობა კონგრესთან, ასევე მეორე მუხლში ამოვიკითხავთ პრეზიდენტის ფიცის ტექსტს. იმის გამო, რომ ამერიკის კონსტიტუტცია „მყარ“ კონსტიტუციებს განეკუთვნება, იგი მათ შორის ყველაზე ხელშეუხებელია. კონსტიტუციაში ცვლილებების შესატანად საჭიროა ორივე პალატის წევრთა 2/3_ის მოთხოვნით კონგრესმა მიიღოს შესწორება, თუმცა პრაქტიკულად ასეთი სახის შესწორება ჯერჯერობით არ მომხდარა. აღსანიშნავი ფაქტია, ის რომ კონსტიტუციის მუხლების პირველადი ფორმა არ იცვლება, ანუ შესწორებები ქვეყნდება ტექსტისთვის დამატებების სახით. სწორედ, ეს განაპირობებს კონსტიტუციის სიმყარის ხარისხს. მისი მიღებიდან ორი საუკუნის მანძილზე შემოტანილ იქნა 5000_მდე შესწორება, მაგრამ აქედან მხოლოდ 33_მა მიიღო კონგრესში ხმების აუცილებელი 2/3 და გატანილ იქნა სარატიფიკაციოდ, რომელთაგან როგორც ვიცით, მხოლოდ 27-დან 17 შესწორება მოხდა, რომელიც უფლებების გაფართოებას, ხმის და სიტყვის უფლებას, ასევე რელიგიის თავისუფლებას გულისხმობდა. რატიფიკაცია ახერხებს ცვლილებების შეტანას, განხილვის პროცესი შესაძლოა ძალიან ბევრი წლებიც კი გაგრძელდეს. ამას ადასტურებსცნობილი ბილი, რომელიც 150 წლის თავზე დაამტკიცეს (მასაჩუსეტსი, ჯორჯიის და კონექტიკურის შტატების უფლებათა ბილი).

1787 წლის 17 სექტემბერს ახალ კონსტიტუციაზე მუშაობა დასრულდა, ხოლო 1789 წლის 4მარტს ძალაში შევიდა. კონსტიტუციის ორიგინალი ინახება ეროვნულ არქივში, ვაშინგტონში (კოლუმბიისოლქი). სწორედ,ეროვნული არქივის წარმომადგენელი ქრისტინ ბლექბერი განმარტავს, რომ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა ძალიან რთული პროცესია, რაც ისტორიამ ნათლად აჩვენა, ეს კი დადებითი მოვლენაა.

ამერიკის საარჩევნო სისტემა ეფუძნება ქვეყნის საარჩევნო სამართალს,სადაც კონსტიტუციური ნორმის ფარგლებშია შემუშავებული შტატების კანონმდებლობა.როგორც ჩვენთვის ცნობილია, საყოველთაო საარჩევნო

უფლებების საკითხი საუკუნეობრივი დავის საგანი იყო, მთელი ამ ხნის განმავლობაში მოსახლეობა ყოველმხრივ ცდილობდა ცვლილებები შეეტანაამომრჩევლის უფლებებში, წლების შემდეგ, 1870 წელს კონსტიტუციის XV შესწორებით, საარჩევნო უფლება მიენიჭათ შავკანიანებს და ყველა სარწმუნოების მქონე ადამიანს,შემდგომ ქალებს და ასე ეტაპობრივად მივიდნენ იქამდე, რომ ამერიკა დღესდღეობით არჩევნების ყველაზე დემორკატიულ მოდელს წარმოადგენს.[5]

როდესაც პრეზიდენტის არჩევნები მიმდინარეობს, ქვეყანა ამ დროს გაერთიანებულიაერთიან ეროვნულ, ფედერალურ საარჩევნო ოლქად. პრეზიდენტს და ასევე ვიცე პრეზიდენტს ხმა უნდა მისცეს კვალიფიციურმა უმრავლესობამ. ძალიან საინტერესოა საპრეზიდენტო აგიტაციის პროცესი, რომელიც იწყება „საპრეზიდენტო წლის“ რამდენიმე თვით ადრე,პრაიმერის სახით, სადაც ამომრჩევლები ხმას აძლევენ პრეზიდენტობის კანდიდატს ამომრჩეველთა სახით. შემდგომ უკვე ტარდება პარტიული ყრილობები - კონვენტები, სადაც იკვეთება საბოლოო კანდიდატები, ბოლო ეტაპია, როდესაც პრეზიდენტობის კანდიდატები ატარებენ საარჩევნო აგიტაციას.

როგორც წესი, „ნოემბრის პირველი ორშაბათის მომდევნო სამშაბათს“ ამომრჩევლები აფიქსირებენ თავიანთ ნებას და ხმას აძლევენ პრეზიდენტის ამომრჩევლებს (დელეგატებს). ამომრჩევლად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც დელეგატთა ხმების აბსოლუტურ უმრავლესობას, ანუ 270 და მეტ ხმას მიიღებს.

ამერიკა არის სწორედ ის ქვეყანა, სადაც პირველად ჩამოყალიბდა საპრეზიდენტო მმართველობის ფორმა და კონსტიტუციურად გაფორმდა, როგორც საპრეზიდენტო რესპუბლიკა. პრეზიდენტი ერთდროულად ითავსებს, როგორც სახელმწიფოს მეთაურის, ასევე მთავრობის მეთაურის უფლებამოსილებასაც. კონსტიტუციით იგი ძლიერი უფლებამოსილებით არის

[5] http://www.parliament.ge/files/1055_16721_957521_saarchevno_sistemebi.pdf - ამერიკის საარცევნო სისტემები (10,05,2016)

აღჭურვილი, მას შეუძლია სხვა ქვეყნებში დანიშნოს ელჩები და კონსულები „სენატის რჩევითა და თანხმობით“. პრეზიდენტი წყვეტს, სცნოს თუ არა უცხოეთის ახალი მთავრობები, აწარმოოს თუ არა სხვა ქვეყნებთან მოლაპარაკებები, გააფორმოს თუ არა საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც დადების შემთხვევაში აუცილებლად საჭიროებს სენატის მიერ დამტკიცებას. აღსანიშნავია რომ, პრეზიდენტის მიერ დადებული „აღმასრულებელი ხელშეკრულებები“ არექვემდებარება დამტკიცებას. პრეზიდენს აქვს ვეტოს უფლება, თუმცა იგი არ შეიძლება გამოყენებული იყოს კონსტიტუციურ კანონზე, ამიტომ შეიძლება ჩაითვალოს პრეზიდენტი, როგორც კონსტიტუციური კანონების დაცვის გარანტი. პრეზიდენტს აქვს უფლება, მოიწვიოს კონგრესის საგანგებო სესია „განსაკთრებულ შემთხვევებში“, თუმცა ეს იშვიათად ხდება. მოგეხსნებათ პრეზიდენტმა კანონი უნდა დაამტკიცოს 10 დღის ვადაში, თუ ამ პერიოდში არ დამტკიცდა, მაშინ იგი ავტომატურად დამტკიცებულად ითვლება. არსებობს ყურადღება მისაქცევი ფაქტიც, როდესაც კონგრესის სესია მთავრდება, ამ დროს შეუძლია პრეზიდენტს, კანონი, რომელიც განსახილველად არის წარდგენილი,არც დაამტკიცოს და არც უარყოს, მას შეუძლია გადადოს ის განსახილველად. ასეთ ვეტოს „ჯიბის ვეტოს“ უწოდებენ. ე.წ „ჯიბის ვეტოს“ ცნობილი მაგალითია, რ.[6]რეიგანის მიერ 6წლის მანძილზე 61_ჯერ სხვადსახვა კანონზე დადებული ვეტო, რომელიც კონგრესმა ის მხოლოდ შვიდჯერ გადალახა.

პრეზიდენტი ფლოტისა და პოლიციის მთავარსარდალი, შეიარაღებული ძალების უმაღლესი თანამდებობის პირია, თუმცა მას არ აქვს უფლება ომისგამოცხადების, ომის გამოცხადების უფლება კონგრეს ენიჭება. მიუხედავად ამისა ყოფილა შემთხვევები, მაგალითად ვიეტნამის ომი კონგრესის მიერ გამოუცხადებლად მიმდინარეობდა. თუმცა ომის შემთხვევაში კონგრესს შეუძლია ბევრად ფართო უფლებები მიანიჭოს პრეზიდენტს, ეროვნული ეკონომიკის მართვის და შეერთებული შტატების უსაფრთხოების მიზნით.

[6]https://matekari.wordpress.com- -სტატიაში გამოყენებული ჯორჯ ვაშინგტონის სიტყვები 15.06.218

ჯორჯ ვაშინგტონი თვლიდა , რომ ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირი არ უნდა ყოფილიყო პარტიული, არამედ ის უნდა ყოფილიყო უშუალოდ ყველა მოქალაქის სახე. ვაშინგტონი გვაფრთხილებდა კიდეც, „პარტიული სულის დამღუპველ შედეგებზე.“თუმცა გაფრთხილებების მიუხედავად, უნდა აღვნიშნოთ, რომ პარტიები ამერიკაში ისე განვითარდნენ, რომ მათ გარეშე წარმოუდგენელიც კია ცხოვრება.[7]

1.2 ორპარტიული სისტემა და მისი როლი საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიებში.

დადასტურებული ფაქტია, როდესაც კონსტიტუცია იწერებოდა, იმ ჯგუფებში სადაც გაერთიანებულნი იყვნენ ადამიანები, რომლებსაც საერთო ინტერესები ჰქონდათ, ფრაქციებად იყვნენ წოდებულნი. მოგვიანებით, სწორედ კონსტიტუციის გარშემო მიმდინარე დებატებიდან გამომდინარე, ყალიბდება ორი ფრაქცია, სადაც უკვე იყოფა აზრი. ერთნი რომელიც მხარს უჭერდნენ მას „ფედერალისტებად“ იწოდებოდნენ, ხოლო მათი ოპონენტები,[8]„ანტიფედერასლიტებად“ მოიხსენიებოდნენ.[9] მოგვიანებით სწორედ „ანტიფედერალისდების საფუძველზე შეიქმნა რესპუბლიკური პარტია.

როგორც ვიცით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ორპარტიული სისტემაა. ორ პარტიული სისტემა კი როგორც წესი დამახასიათებელია დემოკრატიული ქვეყნებისათვის. ორპარტიული სისტემის არსებობას ხელს უწყობს უპირველეს ყოვლისა, მაჟორიტარული წარმომადგენლობის სისტემა, რომელიც აიძულებს ამერიკის საზოგადოებრივ ჯგუფს იმუშაოს ორიდან ერთ-ერთ პარტიაში. ორ პარტიულ სისტემას ხელს უწყობს ის ფაქტიც, რომ მცირერიცხოვან პარტიებს არ

[7] პოლიტიკოსთა დღიურები - 1787წ. 21 ნოემბერი ჰამილტონის ფედერალისტი

[9] დროშა- არჩევნები ამერიკაში 1952 წელი.#7,12 გვ 10.05.2018.

შესწევთ ძალა კანდიდატურის წამოსაყენებლად, რადგან როგორც ვიცით, პარტიები საჭიროებენ ასობით ათასი მოქალაქეების ხელმოწერისშეგროვებას. აქედან გამომდინარე, მათი როლი პოლიტიკურ ცხოვრებაში იმდენად მწირია და უმნიშვნელო წამყვან პარტიებთან შედარებით, რომ ფაქტიურად არც არიან ისინი ასპარეზზე. სწორედ,ამერიკის ორპატიული სისტემაა ნათელი მაგალითი იმისა,დავინახოთ თუ როგორ არის ორ ნაწილად დაყოფილი მმართველი ელიტა, „ისტებლიშმენტი",თუ როგორ კონტროლირდება და იმართება შიგნიდან, ასევე თუ როგორ ხდება გარე სივრცის დაბლოკვა. რესპუბლიკურ და დემოკრატიულ პარტიებს სპეციფიკური, ორგანიზებული სტრუქტურა და ნიშნები გააჩნიათ. ორივე პარტია განეკუთვნება გაუფორმებელ პარტიათა ჯგუფს. მათ არ აქვთ მუდმივი პოლიტიკური პროგრამა, თუმცა გააჩნიათ მაღალკვალიფიციური ფართო ფუნქციონირებისგან დაკომპლექტებული მუდმივმოქმედი აპარატი. ორივე პარტია განსხვავედება საპრეზიდენტო არჩევნების წინ მიღებული პარტიული პლატფორმებით. დემოკრატები და რესპუბლიკელების მონაცვლეობით მოსვლა მთავრობაში, ნიშნავს იმას, რომ თუ ერთი პარტია მთავრობაშია, მეორე ოპიზიციაშია და პირიქით.

ფრიდრიხ ენგელსი წერდა : „ ჩვენ იქ ვხედავთ პოლიტიკურ სპეკულაციათა ორ დიდ ბრბოს, რომელნიც რიგ-რიგაც ჩაიგდებენ ხოლმე ხელში სახელმწიფო ხელისუფლებას და ექსპლუატაციას უყენებენ მას ყოვლად ბინძურად,[10] ყოვლად ბინძური მიზნებისათვის, ერი კი უძლურია პოლიტიკოსთა ამ ორიდიდი კავშირის მიმართ, რომლებიც თითქოს ემსახურებიან მას, ნამდვილად კი ბატონობენ მასზე და ძარცვავენ მას" - ასე იყო ადრე და ასეა ახლაც.

პარტიების საქმიანობის 4 მთავარი ფუნქციაა : „კანდიდატების დასახელება სახელმწიფო სტრუქტურებში არჩევისთვის, ხმის მიცემის სტრუქტურირება

[10](საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი. კრებული I. პოლიტიკურ სამართლებრივი ლიტერატურის სერია / წიგნი VIII.გვ 20. (10.05.2018)

არჩევნებში, ალტერნატიული სამთავრობო პროგრამის შეთავაზება და სახელმწიფო მოხელეთა საქმიანობის კოორდინიცია.“

ორივე პალატაში კანონპროექტის განხილვა ჩვეულებრივ სამ მოსმენას მოიცავს : „1. ფორმალური ხასიათი აქვს; 2. ხდება გაცნობა და ცვლილებების შეტანა, შემდეგ მოსმენით ხდება მისი მიღება სიითი შემადგენლობის უბრალო უმრავლესობით.

ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკურ პარტიას დემოკრატიული პარტია წარმოადგენს. მისი ისტორია ტომას ჯეფერსონის და ჯეიმს მედისონის სახელს უკავშირდება. 1800-1824 წლებში დემოკრატიული პარტია დომინანტ პარტიად ითვლებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. 1824 წელს კი ის დაიშალა რამდენიმე ფრაქციად, რაც თანამედროვე დემოკრატიული პარტიის საფუძველი გახდა და როგორც ჩვენთვის ცნობილია, მას ხელმძღვანელობდა ენდრიუ ჯეფერსონი, ხოლო მეორე პარტიას, რომელიც ნაციონალ-რესპუბლიკურ პარტიად ჩამოყალიბდა მეთაურობდნენ ჯონ კუინსი ადამსი და ჰენრი კლეი. როგორც დემოკრატიული პარტია 1792 წელს დაასრდა და ამ დრომდე ითვლება ერთ-ერთ ძლიერ პარტიად ქვეყანაში. დემოკრატები მხარდაჭერას უმცირესობის წარმომადგენლების, ნაკლებად განვითარებადი და ბევრად უფრო ლიბერალი ამომრჩევლებისაგან შედგება ისინი ე.წ „სოციალური არბიტრის“ როლს აკისრებენ მთავრობას,[11] რომელიც სოციალურ სამართლიანობასა და დასაქმებას უზრუნველყოფს.ის მხარს უჭერს სოციალური პროგრამების განხორციელდეს ქვეყნის შიგნით, რათა შემდგომ შეძლონ სხვა ქვეყნების დახმარება. ჩვენთვის ნაცნობილი პრეზიდენტები ვუდრო უილსონი, გარი ტრუმენი, ფრანკლინ რუზველტი, ჯონ კენედი, ბილ კლინტონი და ბარაკ ობამა დემოკრატიული პარტიიდან იყვნენ.

[11]ახალი ამბები 2012წლის 15 მარტი- როგორ ირჩევს ამერიკა (11.05.2018)

რესპუბლიკური პარტია (Republicans, Grand old Party, GOP) –1828 წელს ორად გაიყო, რომლის ერთი ფრთაც დემოკრატიულ ფრთად გადაიქცა. თავდაპირველად როგორც ჩვენთვის ცნობილია, რესპუბლიკურმა პარტიამ არსებობაც კი შეწყვიტა, თუმცა მოგვიანებით 1850 წლის დასაწყისში მონობის წინააღმდეგ გაერთიანებულ ძალებთან ერთად ყალიბდება ახალ პარტიად და იბრუნებს სახელს, რომლითაც წინათ იყო ცნობილი.იგი ფუძნდება 1854 წლის 22 თებერვალს უისკონსინის შტატის ქ. რიპონში. რესპუბლიკური პარტიის პლათფორმა ეფუძნება ამერიკულ კონსერვატიზმს და უკავია მემარჯვენე - პოზიცია, განსხვავებით მემარცხენე დემოკრატიული პარტიისგან. რესპუბლიკური პარტიის არაოფიციალური სიმბოლო არის - სპილო, „პარტიის ფერი“ კი - წითელი.

რესპუბლიკელთა ეროვნული კომიტეტის წევრი შონ სპაისერის თქმით „რესპუბლიკური პარტია შეზღუდული მთავრობის მომხრეა,დაბალი გადასახადები და თავისუფალი ბიზნესი კონსერვატორთა მთავარი დღის წესრიგია“ (ახალი ამბები 2012წლის 15 მარტი- როგორ ირჩევს ამერიკა).

რესპუბლიკელები მდიდარ, განათლებულ და კონსერვატულ ამომრჩეველზე არიან ორიენტირებულნი, ისინი საუბრობენ ოჯახურ ფასეულობებზე, ინდივიდუალიზმზე, ქვეყნის უსაფრთხო თავდაცვისუნარიანობაზე. სახელმწიფოს მინიმალური ჩარევა ეკონომიკაში, მომხრენი არიან თავისუფალი ბიზნესის, ისინი ეწინააღმდეგებიან სოციალურ პროგრამაზე გადასვლას და სხვა ქვეყნებზე ფინანსური დახმარების აღმოჩენას.

პარტია რესპუბლიკელების დღის წესრიგის შექმნა, რომელიც დღესაც მოქმედებს რონალდ რეიგანის სახელთან არის დაკავშირებული.ამერიკის შეერთებული შტატების ცნობილი პრეზიდენტები, რომლებიც რესპუბლიკური პარტიიდან არიან, იყვნენ: აბრაამ ლინკოლნი, თეოდორ რუზველტი, როზარდ ნიქსონი, როლანდ რეიგანი, ჯორჯ ბუში, ჯორჯ ბუში (უმცროსი), დონალდ ტრამპი (მოქმედი პრეზიდენტი).

საუკუნენახევარზე მეტს ითვლის, რაც ამერიკულ პოლიტიკაში დემოკრატები და რესპუბლიკელები თეთრ სახლსა და კონგრესს ერთმანეთის მონაცვლეობით იკავებენ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორივე პარტიის ისტორია 1700_იანი წლებიდან იღებს სათავეს, ხოლო 1800_იანების შუა პერიოდიდან ისინი საბოლოოდ ისეთი სახით ჩამოყალიბდნენ, რასაც დღესდღეობით ვხედავთ. პარტიული თათბირები ტარდება დანიშნულ დროს, ორ სხვადასხვა დარბაზში, სადაც თავისთავად ცალ-ცალკე იკრიბებიან ორივე პარტიის დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების მომხრეები, ამის შემდგომ ხდება მათი ჯგუფებად დაშლა,იმის მიხედვით თუ რომელ პარტიას უჭერენ ისინი მხარს. ამ დაჯგუფებების შედეგებს განაზოგადებენ შემდგომ უბნებში.

როგორც წესი, პოლიტიკური პარტიების სიძლიერე განაპირობებს სახელმწიფოს დემოკრატიულ განვითარებას. ისინი წარმოადგენენ თავიანთი სტრუქტურებით, ორგანიზებულ გაერთიანებებს, რომლებსაც გააჩნიათ საკუთარი მიზნები და შესაბამისად იბრძვიან მათ განსახორციელებლად. ბუნებრივია, მათი მიზნებია მოიპოვონ ძალაუფლება და შეინარჩუნონ იგი. საბოლოოდ კი მივიდნენ იქამდე, რომ სახელმწიფოში მამოძრავებელ ძალად იქცნენ, რაც დამეთანხმებით განაპირობებს პოლიტიკურ ამინდს ქვეყანაში.

განვიხილოთ პარტიისა და თვითონ საპრეზიდენტო კანდიდატს შორის ჯაჭვური კავშირი, თუ რამდენად მნიშვნელოვანნი არიან ისინი ერთმანეთისთვის. როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, პირი, რომელიც აპირებს პრეზიდენტობას, პირადი ღირებულებების მიხედვით წყვეტს თუ რომელი პარტია აირჩიოს, რადგან შემდგომ ამ პარტიის სახელით იყაროს კენჭი. როგორც წესი პროცესები, რომლებიც ეტაპობრივ აუცილებელ გავლას საჭიროებს ერთმანეთზე ქრონოლოგიურად არის გადაბმული. როგორც ვიცით, შეერთებული შტატების ყველა კანდიდატი ერთვება საარჩევნო კამპანიებში, რის შემდგომაც ხდება პიროვნების კანდიდატად დასახელება, პრაიმერებისა და კოკუსების საშუალებით. მას შემდეგ რაც პრაიმერებისა და კოკუსების სახით გამოვლინდებიან

კანდიდატები, იმართება პარტიების ყრილობა, სადაც ოფიციალურად სახელდება გამოვლენილი საპრეზიდენტო კანდიდატი, რომელსაც შეუძლია სრული დატვირთვით მოახდინოს საპრეზიდენტო კამპანიაში ჩართვა. პოლიტიკური პარტიები საკვანძო როლს ასრულებენ ნებისმიერი სახელმწიფოსთვის. ისინი მიმართულნი არიან მოქალაქეების ინტერესებისა და პოზიციების დასაცავად. მარტივად რომ ვთქვათ, პოლიტიკური პარტიები არიან მაკავშირებლები სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის. მათზეა დამოკიდებული მუდმივად ქმნიდნენ დემოკრატიულ შიდა სტრუქტურებს.პარტიებს შეუძლიათ ჩაატარონ ეფექტიანი და კონკურენტუნარიანი კამპანიები, მოიზიდონ უფრო მეტი პერსპექტიული და ნიჭიერი კადრები, შეიმუშაონ მომგებიანი პროექტები, რაც მათ რეპუტაციას საზოგადოებაში განამტკიცებს და ნდობას გაამძაფრებს.აქედან გამომდინარე ალბათ დამეთანხმებით, სწორად შერჩეული პარტია, რომელიც საზოგადოების მხრიდან კეთილგანწყობას იმსახურებს, პრეზიდენტობის კანდიდატისთვის უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია.

II.თავი. ელექტორატზე გავლენის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ფორმები და მეთოდები.

2.1 საპრეზიდენტო არჩევნების ფინანსირების პრაქტიკა.

ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნები სერიოზულ წინასაარჩევნო პროცედურებს საჭიროებს, რაც ხშირად ხდება კრიტიკის ქარ-ცეცხლში. საარჩევნო კამპანიების დაფინანსებები 1970-1980_იანი წლებიდან იღებს სათავეს. როდესაც საარჩევნო კამპანიების დაფინანსების ინსტიტუტები შეიქმნა, გამოიკვეთა რიგი ფაქტორები, რომლებიც მთელი მიმდინარე საარჩევნო პროცესებისთვის ძალზედ

მნიშვნელოვანი იყო და არის ახლაც. მოგეხსენებათ, XXI საუკუნეში ამერიკის შეერთებული შტატების არჩევნები სამაგლითო მოდელს წარმოადგენს. ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს ფედერალური საარჩევნო კომისია (FFC Control), რომელიც კანონის შესაბამისად შეიქმნა. ასევე არსებობს საკანონმდებლო აქტი, რომელიც მიზნად ისახავს, არჩევნების ფინანსირების მონიტორინგს. ის ითვალისწინებს ხარჯებისა და შემოსავლების გამოქვეყნებას,რომლის მიზანიც არის ფედერალური საარჩევნო კამპანიების ჩატარება გამჭირვალედ. პარტიებსა თუ კანდიდატებს ეკისრებათ ვალდებულება, წარმოადგინონ პერიოდული ანგარიშები, რომელშიც დეტალურად იქნება მოცემული როგორცშემომავალი ისე დახარჯული თანხების ანგარიში. აუცილებელი ფაქტორია დამფინანსებლების დასახელება, რომელიც გარკვეულ თანხას დებს წლიურად, მარტივად რომ ვთქვათ,ნებაყოფლობით შემოწირულობას აწარმოებენ,რომელიც განსაზღვრულია კანდიდატების მხარდასაჭერად. არსებობს პოლიტიკური საქმიანობის ფინანსირების მაკონტროლებელი ორგანოების სხვადასხვა ტიპები. თუ ავიღებთ ამერიკისა და იაპონიის მაგალითს, განსხვავებას აშკარად ვნახავთ, რადგან ამერიკას ექვსკაციანი ფედერალური საარჩევნო კომისია ჰყავს, ხოლო იაპონიას არ გააჩნია ორგანო,რომელიც ვალდებულია დარღვევებზე კონტროლი და შესაბამისი სანქციები დააწესოს.

როგორც ცნობილია, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების რეჟიმის დარღვევისათვის გამოიყენება სამი სახის სანქცია: ფინანსური, სადამსჯელო და საარჩევნო. აშშ_ში გამოიყენება სისხლის სამართლის სანქციები, რომელიც არც ისე დიდი პოპულარობით სარგებლობს, კვლევებმა გვიჩვენა, რომ ყველაზე ეფექტურ სანქციად საარჩევნო მანდატის დაკარგვა ითვლება.რაც მიანიშნებს იმაზე, რომ პარტიამ დისკვალიფიკაცია მიიღო.

მოგეხსენებათ, საარჩევნო პროცესების გამჭვირვალობის ზრდამ, შესაბამისი კანონმდებლობის შეცვლა გამოიწვია აშშ_ში. ცნობილი მაგალითი უოტერგეიტის სკანდალი, რომელიც საარჩევნო კამპანიის ფარულ

შემოწირულობებს ეხებოდა. სწორედ, შემოწირულობების ხარვეზები იქცა, რეფორმების ჩატარების მთავარ მიზეზად. საბოლოოდ, 2002 წელს შეიქმნა მაკ-კეინ-ფაინგოლდის კანონი საარჩევნო კამპანიების დაფინანსების შესახებ, რომლის ძირითადი დებულებები მიმართულია შემოწირულობის რეგულაციებზე. ე.წ„ფარული რეკლამები“, რომლებიც გამიზნულია არაპირდაპირი ფორმით მხარდასაჭერად, ან თუნდაც უარყოფითი დამოკიდებულებების გამოსახატად კონკრეტული კანდიდატებისა თუ პოლიტიკური პარტიების მიმართ, რომლებიც მკაცრრეგულაციებს მოითხოვენ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო კამპანიების ფინანსირება, სწორედ რომ, წარმოადგენს ისეთ სფეროს, სადაც ყველაზე ხშირია კორუფციული გარიგებები. ასევე ფიქსირდება ამომრჩევლის მოსყიდვები. პარტიების მხრიდან დროებითი დასაქმება, რათა მოხდეს ამომრჩევლის „მოთაფლვა“. ეს ყოველივე არჩევნების დასრულებამდე რა თქმა უნდა ერთჯერადი სახით არ მოისაზრება,ამიტომაც ნაკლებად ჩანს როგორც მოსყიდვა, სამაგიეროდ პარტიები ამ ყოველივეს როგორც წინა საარჩევნო კამპანიის წარმატების გარანდატს ისე მიიჩნევენ. როდესაც საქმე გვაქვს დარღვევებთან და ეს არის გამჭვირვალობის პრინციპის დარღვევა, ეს ყოველივე ხშირად პოლიტიკური სკანდალების მიზეზიც კი ხდება,[12] ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკური პარტია არღვევს პოლიტიკური საქმიანობის ფინანსირების ნორმებს.

არსებობს პოლიტიკური საქმიანობის დაფინანსებაზე კონტროლის განხორციელების რამდენიმე მიდგომა:

ეს არის გათვლა საეჭვო დონორებისგან თავის არიდება, რადგან სახელმწიფო თავის მხრივ, იღებს ვალდებულებას დააფინანსოს.პოლიტიკური პარტიებისსაარჩევნო კამპანიების ნაწილი. ასევე მათ აძლევს საშუალებას, მიმართონ საზოგადოებას რადიო თუ სატელევიზო ეთერის საშუალებით,

[12] https://www.radiotavisupleba.g - ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნები

რომელიც დაფინანსბეულია სახელმწიფოს მიერ. მაგრამ მოგეხსენებათ, არის ასევე დაფინანსების რეგულაციები, რომელიც განსაზღვრავს თუ ვის შეუძლია მოახდინოს შემოწირულობების სახით თანხის ჩარიცხვა. ექსპერტთა აზრით, იმ ქვეყნებში, სადაც საარჩევნო კამპანიებზე კონტროლი ხდება, სახელმწიფო სტრუქტურებისაგან განსაკუთრებული ყურადღება უნდა ეთმობოდეს, რათა გაკონტროლებული იყოს ყველა ფირმის და ორგანიზაციების უსაფრთხოება, რომელთაგანაც პოლიტიკური პარტიები ფინანსურ სარგებელს იღებენ. როგორც ჩვენთვის ცნობილია 2003 წლის 8 აპრილს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული იქნა რეკომენდაცია „პოლიტიკური პარტიების დაფინანსების დროს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი წესების შესახებ“. აქ კარგად არის დასაბუთებული, თუ რა როლი ეკისრებათ პარლამენტარებს, როდესაც საქმე ეხება პოლიტიკური პარტიების ფინანსირების საკითხს, სადაც ყველაზე ხშირად ხდება კორუფციული გარიგებები. ამ რეკომენდაციაში ხაზგასმით არის ნახსენები, რომ საეჭვო ფული არ უნდა იყოს მიღებული თუნდაც შემოწირულობის სახით, რომლის წარმოშობაც უცნობია. რომელთა წარმოშობაც პირდაპირ ხდება არჩევნების შემდგომ მაკომპრომეტირებული იარაღი. პოლიტიკურ ნაშრომებში აღწერილია პრაქტიკული მაგალითები, მაგალითად როგორც ამერიკის ფედერალური კომისიის საიტზეა ყველა იმ დამფინანსებლის მონაცემები რომლებმაც რეალურად ნამდვილად მაოხდინეს თანხების ჩარიცხვა, თუმცა აღსანიშნავი ის ფაქტიც, რომ არიან ისეთები დონორებიც რომელთა კვალიც კვალიც ქრება. მაგალითად 2016 წლის წინაასარჩევნოდ ჰილარი კლინტონის ანგარიშზე 563 000 000 დოლარი და დამატებით კიდევ 231 000000 დოლარი აღინიშნა, რომლის ასავალ-დასავალიც უცნობია. ასევე დონალდ ტრამპის საარჩვენო ანგარიშზე 333 000 000 დოლარი. შემდგომ კი 75 000000 დოლარი, რომლის მონაცემებიც ისევე როგორც კლინტონის არ არის ფედერალური კომისიისთვის ცნობილი. თუმცა თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომდონალდ ტრამპი არ იღებდა შემოწირულობებს და მან განაცხადა რომ საკუთარ კამპანიას

საკუთარი სახსრებით დააფინანსებდა, რომელიც დღემდე საეჭვოდ არის მიჩნეული ვინაიდან, როგორც ცნობილია ჰილარის საარჩევნო ფინანსირება გაცილებით მეტი დაჯდა ვიდრე ტრამპის, ეჭვებს ალბათ თქვენც დამეთანხმებით კიდევ უფრო მეტად აღვივებს. ასევე ამომწურავად არის ნახსენები პარალამენტის მიერ მაკონტროლებელი რეგულირების მექანიზმები, რომლებიც მოგეხსენებათ აუცილებლად უნდა იყოს თვალნათელი და რა თქმა უნდა,განხორციელებადი. იმ შემთხვევაში, თუ დაირღვევა საარჩევნო კამპანიების ფინანსირების მარეგულირებელი ნორმები, მოხდება მათი სამართლებრივი დასჯა, სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისად. ასეთი სახის დარღვევად თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს სახსრების გაუთვლელად გახარჯვა.[13]

2.2. ახალი ტექნოლოგიების ზემოქმედების შესაძლებლობები საარჩევნო პროცესზე

თომას ჯეფერსონი წერდა : "ადამიანები ქმნიან მთავრობებს, რომლებიც თავის ძალაუფლებას იძენენ იმათი თანხმობით, ვისაც ისინი მართავენ."

საარჩევნო კამპანიაში მოიაზრება, პარტიების და კანდიდატების საარჩევნო პროგრამების წარმოდგენა, რათა საზოგადოებაზე მოახდინონ შთაბეჭდილება და დაარწმუნონ ისინი, თუ რატომ უნდა გააკეთონ არჩევანი მასზე. არჩევნების დროს პოლიტიკური პარტიების და კანდიდატების კონკურენცია განაპირობებს წინასაარჩევნო მოღვაწეობის სპეციალურ კანონზომიერებათა ცოდნას. არჩევნებში არსებულ სიტუაციას ეკონომიკურ ბაზარსაც კი ადარებენ, რადგან თუ კარგად დავუკვირდებით მასში სწორედ, რომ პოლიტიკური ბაზრის „ყიდვა - გაყიდვა" მიმდინარეობას. პოლიტიკოსებზეა დამოკიდებული მათი პოლიტიკა კარგად იყოს შეფუთული, რაც კარგად ჩანს მათ წინასაარჩევნო კამპანიებში მათ მიერ წარმოდგენილ პროგრამებში. ყოველ კამპანიას გააჩნია საკუთარი

13

საარჩევნო პროგრამა, მაგრამ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მასში გათვალისწინებული იყოს ის ხუთი აუცილებელი კომპონენტი, რომელიც მნიშვნელოვნად ეფექტურია საარჩევნო კამპანიისთვის. მოქმედების გეგმა, რომელიც მოიცას პოლიტიკური პარტიების სტრატეგიულ გეგმას, აუცილებელია იყოს კარგად გაანალიზებული და ორგანიზებული, კომპანიის ჩატარების ორგანიზატორები უნდა ითვალისწინებდნენ კონკრეტულ ვითარებას, არცერთ შემთხვევაში მათი მხრიდან არ უნდა მოხდეს სხვა პოლიტიკური პარტიების პროგრამის გადმოღება, რადგან ეს უხეშად თვალშისაცემი ხდება საზოგადოებისთვის, რაც შესაძლოა შემდგომ პარტიის მიმართ უნდობლობაში გამოიხატოს. წინასაარჩევნო კამპანია წარმოადგენს იმდენად სერიოზულ საკითხს, სადაც ყველა წვრილმანზეა ყურადგება გამახვილებული. მაგალითად, თუ გადაწყვეტს პარტია, რომ სარეკლამო აგიტაცია ჩაატაროს, მათ აუცილებლად კარგად უნდა შეარჩიონ სლოგანი, ფლაერის ვიზუალი და ისიც კი თუ რომელი (ვინ) კომპანია დაბეჭდავს მას. წინასაარჩევნო პოლიტიკური პროგრამაში სასურველია გათვალისწინებული იყოს შემდეგი : საარჩევნო პროგრამის ხასიათი, რაც მოიაზრებს კომპონენტების მხრიდან პოზიტიურ ხასიათს, წინასაარჩევნო პლატფორმა უნდა შეიცავდეს ამომრჩევლისთვის საინტერესო საკითხების განხილვას, რომელიც იქნება სხვა პოლიტიკური პარტიებისგან გამორჩეული. ასევე ყურადღება უნდა მიექცეს, მიზნებისა და საშუალებების განცალკევებას, რადგან მათი ერთმანეთში არევა არ მოხდეს. ამომრჩევლისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია წინასაარჩევნო დაპირებების მიწოდების ფორმა, სადაც უნდა ჩანდეს კანდიდატის პიროვნება, აქვე უნდა იკვეთებოდეს თითოეული მხარდამჭერის მიმართ დაინტერესება. პოლიტიკურმა პარტიებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ საარჩევნო პლატფორმის ენასაც, რადგან ამომრჩეველზე სასურველი ზემოქმედების მოხდენა, ემოციურად გასაგები ენით გადმოცემას შეუძლია, რადგან ამომრჩეველი დიდ ყურადღებას აქცევს კანდიდატების ინდივიდუალურობას და გულწრფელობას. გასათვალისწინებელია, ახალგაზრდული ფრთა პოლიტიკური

პარტიებისთვის, რადგან მათ შეუძლიათ ეფექტიანად იმუშაონ და უზრუნველყონ არჩევნებში გამარჯვება. რა თქმა უნდა აუცილებელი პირობაა მათი შრომის დაფასება. შემდეგი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია, ორგანიზაციის სწორად შერჩეული მიზანი, რათა მაქსიმალური ეფექტიანობით იყოს გამოყენებული საარჩევნო კამპანია და საბოლოო კომპონენტი, რომელიც აუცილებლობას წარმოადგენს, ასევე დაცულ იქნას თამაშის წესები.

მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებში საპრეზიდენტო სისტემა კონსტიტუციურად დამტკიცდა, დაარსდა ძირითადი ინსტიტუტები და სტრუქტურები, რომლებიც დღემდე მოქმედებენ. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების საარჩევნო მოდელით პრეზიდენტი აირჩევა, არა მოქალაქეთა უმრავლესობით, არამედ ამომრჩეველთა კოლეგიით. მოგეხსენებათ, შეერთებული შტატების ორპარტიული სისტემა ყოველთვის იყო და არის მკვეთრი დაპირისპირების მიზეზი, მათი განსხვავებული იდეოლოგიებიდან გამომდინარე, საიდანაც ხდება საზოგადოების ჩართვა პოლიტიკურ პროცესებში.

2012 წლის შტატების არჩევნებმა გვიჩვენა, რომ მისი პროგნოზირება შეუძლებელია პროცესის დასრულებამდე, რადგანაც მასში მუდმივად მოსალოდნელია ინტრიგა. არჩევნების პროცესი რეალურად დამოკიდებულია მართვად გუნდზე, რომელიც მუდმივად არის ჩართული მის სამართავად. 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც საინტერესო თავისებურებებით გამოირჩეოდა, ზუსტად ასახავს ახალი ტექნოლოგიების თავისებურებებს საარჩევნო კამპანიებში. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ძირითადი კანდიდატები 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში იყვნენ ბარაკ ობამა და მიტა რომნი, აღნიშნული საპრეზიდენტო არჩევნები საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ, არა როოგორც ცალკეული კანდიდატები, არამედ მთელი საარჩევნო ჯგუფის სტრატეგიის ეფექტურობა.

XXI საუკუნის სოციალურ - ეკონომიკურ და პოლიტიკურ დისკუსში ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად იკვეთება, როგორც ფასეული რესურსი ასევე

წარმოების საშუალებები. კომუნიკაცია, რომელსაც დღესდღეობით განვიხილავთ, არ წარმოადგენს უბრალო პროცესს მხოლოდ ინფორმაციის გაცვლისა, არამედ ის არის პროცესის გაანალიზება. კომუნიკაციის აპრიორი არის საკომუნიკაციო პირი, რომელზეც ხდება ფოკუსირება. ეს ყოველივე კარგად არის გამოკვეთილი ამერიკელი მეცნიერის ჯონ დიუს მიერ დაწერილ ნაშრომში, „საზოგადოება და მისი პრობლემები“,[14] რომელიც 1927 წელს გამოიცა. იგი მიიჩნევდა, რომ ტექსტური ფორმირებები აუცილებელი ფაქტორია აუდიტორიის სამართავად, რათა მოხდეს სოციუმის განზოგადება საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მრავალი პოლიტიკის ექსპერტისა, თუ მეცნიერის არგუმენტირებულ ანალიზში, ისინი გვისაბუთებენ ინფორმაციის გაცვლისას, მნიშვნელობა ენიჭება ვიზუალურ იმიჯს, რომელიც განსაზღვრავს საკომუნიკაციო სივრცეს. ასევე კომუნიკაცია წარმოადგენს პირობას ახალი კაპიტალის შექმნაში. ეს არის თვითმმართველი კომუნიკაცია, რომელშიც ლიდერობს ინდივიდუალიზმი და ერთიანობა, რაც წარმოიშვება პრაგმატული ინტერესების დროს. მეცნიერებისთვის სოციალური სისტემაში, რომელიც ურთიერთობებზეა დამყარებული, ნათლად ჩანს საზოგადოების ინფორმაციული კომუნიკაცია, როგორც გარდამავალი, პარადიგმიდან - კომუნიკატორულზე.

ჯერ კიდევ 1897 წელს დაიწყო ამერიკის შეერთებულ შტატებში პერსონალიზაციის პოლიტიკური ინფორმაციის იდეა. ჩამოყალიბდა აზრი, რაც მოისაზრებდა წერილობით შესრულებულიყო არჩევნები. XXI საუკუნე პირველ რიგში ისეთ პრინციპებს განსაზღვრავს, რომელიც დიგიტალიზაციის განვითარებით ინტერნეტთან და მობილურ ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობას განაპირობებს. გასულ საუკუნესთან შედარებით ცვლილებები „გლობალურ სოფელში“ გვხდება, როდესაც „ფანკ სოფლით“ ხდება მისი ჩანაცვლება.

[14] https://www.hse.ru/mag/27364712/2012--12/71251125.html - საარჩევნო სისტემის ახალი ტექნოლოგიები.

თანამედროვე სამყარო ვირტუალური სამყაროსა და ინტერნეტ კავშირის გარეშე ფაქტიურად წარმოუდგენელიც კი ხდება. ინტერნეტის განვითარებამ, მისი დახმარებით ინფორმაციის ოპერატიულად გავრცელების თუ მიღების სისწრაფემ მთელს მსოფლიოში, მასზე მასიური დამოკიდებულება გამოიწვია. მოცემული საშუალებების ინტერაქტიულმა ხასიათმა შეცვალა, მასიური საინფორმაციო საშუალებების ცალმხრივი გავრცელება ორმხრივი დიალოგისაკენ. კერძოდ, ეს არის გადართვა, სადაც ადამიანები აკეთებენ ახალ აღმოჩენებს, კითხულობენ და უზიარებენ ერთმანეთს ახალ ამბებსა და ინფორმაციას, მათ შორის შეიძლება გამოვყოთ, როგორც წერითი, ასევე ვიდეო და ფოტოაუდიო საშუალებები. განვასხვავოთ ინტერნეტის საკომუნიკაციო და კომუნიკაციური მახასითებლები. თუკი დავაკვირდებით მათ შორის განსხვავება ნამდვილად არის. მოგეხსენებათ, ინტერნეტი ფუნდამენტალურად განსხვავდება ელექტრონული კომუნიკაციებისგან, ისინი წარმოადგენენ სრულიად ურთიერთსაწინააღმდეგო სახეებს. შესაძლოა გარემო ხდება დამოუკიდებელი, თუმცა უნდა ავღნიშნოთ რომ „საკომუნიკაციო“ ექვემდებარება სუბიექტს. ჰიპერტექსტურობა ინტერნეტ კომუნიკაციის ძირითადი მახასიათებელია. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიებს თანაბარუფლებიანობა განსაზღვრავს, როგორც მოდელი სუბიექტი სუბიექტში.

კომუნიკაციის ახალი პირობები პასუხობენ საერთო ტენდენციებს ახალი პერიოდის დისკუსებში. ადვილი ხელმისაწვდომობა ნებისმიერ ადამიანს აძლევს საშუალებას გახდეს მომხმარებელი და ავტორი სასურველი კომუნიკაციისა. ამისთვის ინტერნეტი წარმოადგენს უფრო ხელმისაწვდომ და ამავე დროს გლობალურ და ინდივიდუალურ კომუნიკაციის იაფ არხს. XXI საუკუნეში ტექნოლოგიების განვითარების წყალობით ინტერნეტის გამოყენება გამარტივდა, რაც კომფორტს უქმნის ფართო აუდიტორიას. ის საშუალებას აძლევს მომხმარებლებს ერთმანეთს ეფექტურად დაუკავშირდნენ. მოგეხსენებათ, ინტერნეტი არის ინდივიდუალური რესურსების სპექტრი, რომელიც საშუალებას

გვაძლევს შევქმნათ პირადი სასურველი კომუნიკაცია. ახალი კომუნიკაციის ფორმატები საშუალებას იძლევა ინფორმაციის გაფართოების, რადგანაც მას აქვს ფართო სპექტრის ფუნქციები. ასევე ინტერნეტს აქვს ემოციური ფორმატი, რომელიც გათვლილია მომხმარებელზე, რაც უფრო მიმზიდველსა და მრავალფეროვანს ხდის ინტერნეტსა და მომხმარებელს შორის კომუნიკაციას.

ინტერნეტი გვაძლევს საშუალებას სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილებები განვახორციელოთ. ის გვიმცირებს დროს და ზრდის ხელმისაწვდომობას. თანამედროვე აუდიტორიის მახასიათებლები ასახავს სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ ფაქტორებს, რომლებიც მასობრივ კომუნიკაციას გვთავაზობს. კომუნიკაციური ქცევა, როგორც ვირტუალური სიტყვიერი ფორმა ასახავს ემოციას, სადაც ჩანს კონკრეტული კომუნიკაცია პოტენციურ აუდიტორიასთან.

თუ გადავხედავთ ბარაკ ობამასა და რომნის საარჩევნო კამპანიის ოფიციალური ხარჯების შედარებით ანალიზს, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავამყაროთ რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა. აღმოვაჩენთ, რომ ამ ორ კანდიდატს შორის საარჩევნო კამპანია მნიშვნელოვნად განსხვავდება.

„The Washington Post" _სა და "The New York Times"_ის ოფიციალური მონაცემებით, რომელიც გამოქვეყნდა და საჯარო ინფორმაციას წარმოადგენს, ბარაკ ობამას საარჩევნო ბიუჯეტი 887 მილიონ დოლარს, რომსის ხარჯები კი 852,9 მილიონ დოლარს წარმოადგენდა. ჯურნალ ფობსის მონაცემების მიხედვით ნოემბრის თვეში 49% წარმოადგენდა ყველა მისი მიღებული გზავნილი, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც რომ აქედან 40% იყო გადარიცხვები. კვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ ყველა კერძო შემოწირულობა 200 დოლარზე მეტი იყო, ამრიგად, გამოიკვეთა რიგითი ამომრჩევლების აქტიურობა, რომელიც გამოარჩევდა ობამას წინა საარჩევნო კამპანიაში, მისი ჯგუფის ინტერნეტ აქტიურობით. რომნის კანდიდატურას კი საკმაოდ შეძლებული სეგმენტის მოსახლეობა უჭერდა მხარს, რაც მის შემოწირულობებშიც აისახა.

არსებობს ხარჯების სტრუქტურა, რომელიც განსაზღვრავს კანდიდატების ტექნოლოგიურ უპირატესობას, რომლის საშუალებითაც ვლინდება კანდიდატების მნიშვნელოვანი ეფექტური ინსტრუმენტი. ვაშინგტონ პოსტის კვლევების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ობამამ რეკლამებზე დახარჯა 457,6 მილიონი, რონიმ კი დახარჯა 356,8 მილიონი. უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკულად ორივე კანდიდატის დანახარჯების შედარებითი ანალიზი 2012 წლის საარჩევნო კამპანიაში იძლევა დასკვნას თითქმის თანაბარი ბიუჯეტის არსებობაში. თანაბარი ბიუჯეტი უფრო ეფექტური აღმოჩნდა კომუნიკაციურ სტრატეგიაში, რომელიც გამოიხატებოდა ახალ მოდელში, რომელთა განხორციელებაც მნიშვნელოვანი აქცენტია მასიურ აუდიტორიაზე და საყრდენი კრეატიულ ჯგუფზე.

ჯურნალ ტაიმსმა აღნიშნა, რომ წინასაარჩევნო კამპანიებთან შედარებით ობამას საარჩევნო კამპანია გაიზარდა 5_ჯერ, ხარჯიც გაიზარდა და შეადგინა 95 მილიონი.

საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გასაღებს წარმოადგენს თვითონ კანდიდატის მესიჯი და მომავლის ხედვა. მესიჯი ამომრჩევლებისადმი გზავნილს წარმოადგენს, რომელიც პასუხს იძლევა კითხვაზე თუ რატომ უნდა მისცენ ხმა მოცემულ კანდიდატს და მოიცავს კამპანიის ყველა სააგიტაციო ტემას. მესიჯი განსაკუთრებულ როლს ასრულებს საარცევნო კამპანიაში, ის სლოგანის შემდეგ მნიშვნელობით მეორე ტექსტური ინფორმაციაა, რომლის მიტანაც აუცილებელია ამომრჩევლამდე. მესიჯის მთავარი დანიშნულებაა კანდიდატის დადებითი სახის ფორმირება „ტექსტის“სწორედ ეს გახლავთ კანდიდატის პოპულარიზაციის კონცეფცია. როგორც ვიცით, ობამას რეიტინგი პრეზიდენტობის პერიოდში მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა, უდიდესი პოპულარობა მოუტანა ობამას წინასაარჩევნო სლოგანმა „დიახ ჩვენ შეგვიძლია“. თანამედროვე კამპანია მოქმედი პრეზიდენტისა აღმოჩნდა ფოლკლორული მოტივებით ნიშანდებული, სიმღერა ხალხური სიტყვებით „ეგებ დამირეკო“ ტენდენციამ არ გაამართლა თავის იმპერატიული სლოგანით.

კანდიდატების პროგრამები, რომლებმაც წარმოაჩინეს მომავლის ხედვა თითქმის უდაო აღმოჩნდა. ეფექტურობის ორი პარამეტრით ჩვენ შედარებითი ანალიზით დავადგინეთ, რომ წინასაარჩევნო პროექტის განხორციელების თანამედროვე კომუნიკაციური მიდგომა გამოიხატება კომუნიკაციის გზავნილებასა და მოდელებთან მუშაობაში.

ობამას გუნდმა ფართოდ გამოიყენა აქტუალური კომუნიკაციის შესაძლებლობები. მას ჰქონდა უნიკალური მონაცემთა ბაზა მუდმივი განახლება ანალიზის მეთოდები და ალგორითმები. შექმნა ამომრჩეველთა ქცევის ნიმუშების ფორმირების ანალიზის შესაბამისი პროგნოზები.

კამპანიის დროს ძირითადი დებულებები იყო ურთიერთმოქმედების კონკრეტული სამიზნე აუდიტორია. ობამას გუნდმა დაიწყო საკომუნიკაციო მოდელების შექმნა განსაკუთრებით ინტერნეტის საფუძველზე. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა რეკლამების განთავსება, რომელიც არა ცნობილ პროგრამებში, არამედ გამიზნულ აუდიტორიაზე იყო გათვლილი რომლის სამიზნეც იყო 60 არხი. თუ შევადარებთ რომნის რეკლამის განთავსებას, ვნახავთ, რომ მისი რეკლამები მხოლოდ 40 არხზე იყო განთავსებული. ობამას გამოსვლამ რეალიზდა ონლაინ საიტზე „რედიტი“, რომლის არსებობაც არ იცოდა მისი ჯგუფის წევრებმაც კი.

ასეთი სახის კომუნიკაციაზე ინტერაქტიულობა განაპირობა ინტერნეტის გამოყენებამ, რამაც არსებითი შედეგი დაგვანახა. რაოდენობრივი განსაზღვრება დემონსტრატიულად იზრდებოდა კამპანიის მსვლელობის დროს ობამას მისამართით. ასევე დაფიქსირებულია წარმატებული გზავნილი საზოგადოებასთან, რომელიც TWITTER-ზე და FACEBOOK_ზე პოზიტიურად მიიღო საზოგადოების იმ ნაწილმა, რომლებიც აქტიურად მოიხმარენ აღნიშნულ სოციალურ ქსელებს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 4,4 მილიონს შეადგენდა მომხმარებლის მიერ „დალაიქებული“ სურათი. ამერიკის შეერთებული შტატების ინტერნეტ აუდიტორიას აქვს თავის სპეციფიკა. ქსელის ძირითადი პროცენტი

გამოცდილი მომხმარებელია, რომელთა ასაკი 50+ წარმოადგენენ და არა ახალგაზრდობა, ისე როგორც სხვა ნაციონალურ სეგმენტებში. მიუხედავად ამისა ობამას არჩევნებზე 66% ამომრჩევლებისა იყო 30 წლის.

აშკარაა, რომ სოციალურ ქსელში მარტივდება კონტაქტი და კომუნიკაციის ენა. ამის ფონზე მარტივდება ეფექტური კომუნიკაციის საშუალებები.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გამოყენებული თანამედროვე ტექნოლოგიები, წარმოადგენს საერთო დისკუსიების კომუნიკაციების მახასიათებლებს, რომლებიც გამოყენებულია პოლიტიკურ სფეროში. მის საფუძველს წარმოადგენს ინდივიდის კომუნიკაციის ფოკუსირება, მისი გამოყენება კრეატიული და კომუნიკაციური პოტენციალის სუბიექტ - სუბიექტური პოტენციალისა და ინტერნეტ კომუნიკაციის გამოყენება.

III.თავი. ახალი ტენდენციები საპრეზიდენტო არჩევნების პოლიტიკურ პროცესში.აშშ-რუსეთის ურთიერთობები და კიბერშეტევის შესაძლებლობები.

3.1. აშშ-რუსეთის ურთიერთობები ობამას ადმინისტრაციის დროს.

„ცივი ომის“ დასრულების შემდეგ ამერიკა მსოფლიო ლიდერ ქვეყნად გვევლინება. მისი გეოპოლიტიკური, სოციალური, ტექნიკური, მრავალგვარი რესურსის ფლობით თუ სხვა პირობების სფეციფიკიდან გამომდინარე, შტატები მართლაც, რომ ღირსეულად ატარებს „ჰეგემონის“ სახელს.

გლობალიზაციით გამოწვეულმა ცვლილებებმა, მსოფლიო უფრო რთული გახადა, ამიტომ ქვეყნების პოლიტიკაც ცვლილებების შეტანას საჭიროებდა. გამონაკლისი არც ამერიკა იყო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, მარშალის გეგმით ასე რომ ვთქვათ „დამორჩილებული“ ევროპა, ამერიკის განსხვავებული პოზიციებით იხიბლებოდა და თანდათან მისკენ იხრებოდა. ამერიკის პოლიტიკა დიდი ცვლილებების გატარებას საჭიროებდა, ის რომ შტატები „ცივი ომის“ გამარჯვებული იყო რა თქმა უნდა სამომავლოდ სიმშვიდეზე მორგებული „გარანტიები“ არ ჰქონდა, ამიტომ საჭიროებდა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიეღო და პოლიტიკა შეეცვალა, რათა ფეხი აეწყო გლობალიზაციით გამოწვეული ცვლილებებისათვის.

ბევრი თავსატეხით გაჯერებული ამერიკა გადაეცა „მემკვიდრეობად“ შტატების ახალ პრეზიდენტს ბარაკ ობამას. წინამორბედი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში არ გამოირჩეოდა დიპლომატიური პოლიტიკით, მისი გატარებული ცვლილებები ხშირ შემთხვევებში კატასტროფული შედეგებით მთავრდებოდა. ამას მოწმობს „კანადის, დიდი ბრიტანეთის და მექსიკის გაზეთების კვლევვების მიხედვით ჩატარებული გამოკითხვები,“ სადაც ხმების უმრავლესობით ჯორჯ ბუში მიჩნეული ჰყავთ, როგორც მსოფლიოს მშვიდობისთვის საფრთხე. ასეთ რთულ ვითარებაში მდგომი ამერიკის შეერთებული შტატები საჭიროებდა მნიშვნელოვანი ცვლილებების გატარებას, ამიტომაც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები ობამასგან ელოდნენ პროგრესული პოლიტიკური ცვლილებების გატარებას, რათა საერთაშორისო დაძაბულობა განეიტრალებულიყო, ამრიგად ახალბედა პრეზიდენდი ბარაკ ობამა რთული დილემის წინაშე აღმოჩნდა, „ომი ერაყსა და ავღანეთში, დაპირისპირება რუსეთთან, მოსკოვის მიერ ძალის იპულსების გამოვლენა, რაც ძალიან კარგად ჩანს 2008 წლის რუსეთ - საქართველოს ომში, არნახული მასშტაბების ეკონომიკური კრიზისი და სოციალური პრობლემები“, ეს

იმ პრობლემების ნუსხაა რის წინაშეც იგი აღმოჩნდა. თუმცა უნდა აღინიშნოს,[15] რომ პრეზიდენტ ჯორჯ კენედის შემდეგ არც ერთ პრეზიდენტზე არ ყოფილა ამხელა იმედებით აღსავსე მოლოდინი.

მსოფლიო ქვეყნების პოლიტიკური მოღვაწეების თუ ექსპერტების განხილვის თემა გახდა, თუ რა სახის პოლიტიკას წარმოადგენდა ახალი პრეზიდენტი. ნაწილი ექსპერტებისა მისგან სახავდა გმირს, რომელიც ყველაფერს შეძლებდა და იმდენად დიდ ცვლილებებს გაატარებდა საგარეო პოლიტიკაში, რომ მნიშვნელოვნად შეიცვლებოდა ის კრიზიული დაძაბულობა რასაც იმ პერიოდში მსოფლიო განიცდიდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მეორე ნაწილი ექსპერტებისა ასეთ მიდგომას „გაიდეალებას“ უწოდებდა და ნაკლები მოლოდინებით შეჰქყურებდა ახალ მეთაურს.

ობამასეული „რბილი ძალის“ პოლიტიკა მოისაზრებდა საზოგადოებისთვის მისთვის გასაგებ ენაზე საუბარს. რას გულისხმობს ეს ყოველივე ? ეს გულისხმობს ადამიანის მოხიბლვას „ამერიკული ოცნებებით, ღირებულებებით, სასამართლო და პოლიტიკური სისტემით“, იგი მიიჩნევდა, რომ არ შეიძლება საზოგადოებას თავს მოახვიო დემოკრატია და აიძულო ისინი იყვნენ დემოკრატიულები, არამედ ისინი უნდა მოხიბლო ამით, რათა თავად გაუჩნდეთ სურვილი, მიიღონ გადაწყვეტილება „მოიხიბლონ“ ამით. სწორედ ამიტომ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა უპირატესობას ანიჭებს „ჭკვიანი ძალის“ პოლიტიკას, რადგან მასში არც სირბილე ჭარბობს და არც სიუხეშით გამოირჩევა - „ის არის ამ ორის კომბინაცია“.

რუსეთის ფედერაცია დღესდღეობით საკმაოდ ძლიერ მოკავშირეს წარმოადგენს, მას ამ პოზიციაზე ყოფნის რეალური შესაძლებლობები აქვს. თუმცა უნდა ავღნიშნოთ ისიც, რომ რუსეთში თითქოს გაძლიერებულია ნოსტალგია დაკარგული იმპერიალიზმის შესახებ და მათში თითქოს ჩამოყალიბებულია დამარცხებული ერის კომპლექსი. ისტორია გერმანიაში ხედავდა ასეთი სახის

[15] http://nasrashvili.blogspot.com/2010/06/blog-post.html -ბარაკ ობამას საგარეო პოლიტიკა (19,06,2018)

კომპლექსებს, წყაროების მიხედვით სწორედ გერმანია მიიყვანა ფაშიზმამდე I მსოფლიო ომის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა. საზოგადოების აზრით, ვლადიმერ პუტინში ეს თვისებები ნელ-ნელა ღვივდებოდა , საბოლოოდ კი „საბჭოთა კავშირის“ დიდებას აზიარა. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მოსკოვმა ბუშის ადმინისტრაციაზე სრული გამარჯვება მოიპოვა. ამის ნათელი მაგალითია 2008 წლის ომი, როდესაც რუსეთის მხრიდან ძალის დემონსტრირება მოხდა. ეს იყო გზავნილი მსოფლიოზე, რომ ის ფორმაშია. მან თავისი თავი წარმოაჩინა ძალად და ამით მსოფლიოს დაანახა, რომ მას ნებისმიერ დროს შეუძლია ძალის დემონსტრირებს, რომ ის არ იცავს საერთაშორისო ნორმებს, შესაბამისად შეუძლია ნებისმიერ დროს, როცა კი ის ჩათვლის საჭიროდ დაარღვევს მას.

პრეზიდენტ ბარაკ ობამას პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში „სუფთა ფურცლიდან“ დაწყებას ვერ დაიჩემებს. როგორც ვიცით, ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ურთიერთობები, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ კრიზისში შევიდა. თუმცა დაძაბულობამ იმატა რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, ამას განმარტავს კიდეც პროფესორი სამუელ ჩარაპიც :[16] „რუსეთსა და ამერიკას შორის ურთიერთობის სრული გაფუჭების მიზეზი, მოგეხსენებათ რუსეთ-საქართველოს ომი იყო 2008 წლის აგვისტოში, რომლის შემდეგაც რუსეთმა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა. შეერთებული შტატების რეაქცია რუსეთის მოქმედებებზე იყო ის, რომ პენტაგონმა ყველანაირი ურთიერთობა შეწყვიტა რუსეთის თავდაცვის სამინისტროსთან.“ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რუსეთს სანქციებიც კი დაუწესა, რადგან ამერიკა გმობს ქვეყნებზე გავლენას, თუმცა რუსეთის მიზანი პრობლემების მოგვარება არ არის, რადგან კრემლისთვის სტატუს - კვო ხელსაყრელია.

ბარაკ ობამასთვის მოსკოვთან ურთიერთობის გაუმჯობესება, მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკით მოისაზრება. მან შეძლო და რამდენიმე მთავარ მიზანს მიაღწია. როგორც ვიცით, ორ ქვეყანას შორის დაიდო

[16] http://nasrashvili.blogspot.com/2010/06/blog-post.html - ბარაკ ობამას საგარეო პოლიტიკა (19,06,2018)

მნიშვნელოვანი ხელშეკრულება შეიარაღებულ კონტროლზე, ასევე შეთანხმდნენ აღნიშნული ქვეყნები ავღანეთთან და ირანთან დაკავშირებულ რამდენიმე ძირეულ საკითხზეც. „რუსეთი ავღანეთისკენ თვირთის გადაზიდვისთვის ამერიკულ სამხედრო თვითმფრინავებს საჰაერო სივრცეს გაუხსნიდა,[17]“ და ახალი ხელშეკრულების შემუშავების მიზნით, „ბირთვული იარაღი უნდა შემცირებულიყო“.

სამუელ ჩარაპი დიპლომატიურ ტაქტიკას უწოდებს ობამას პოლიტიკას რუსეთის მიმათ, ის მიიჩნევს, რომ ობამას ადმინისტრაციამ ეს ციკლი დაარღვია, რაც შედარებიდან ჩანს, რომ ბუშის ადმინისტრაცია ასეთი სახის დიპლომატიას მოკლებული იყო. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბარაკ ობამამ წინასაარჩევნო კამპანიის დროს რუსეთის მიმართ, ჯონ მაკკენთან შედარებით მოზომილი პოლიტიკით ხასიათდებოდა.[18] ბარაკ ობამა რუსეთთან მოლაპარაკებებს ანიჭებდა უპირატესობას. იგი მიიჩნევდა პოლიტიკაში დიპლომატია მნიშვნელოვანი იყო, გარკვეული საკითხები რომლებზეც დათმობა აუცილებლობას წარმოადგენდა ასეც უნდა ყოფილიყო. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ობამას მიზანი იყო „გადატვირთვის“ პოლიტიკა, ამისთვის 10 რაუნდი გახდა საჭირო ჟენევაში ორმხრივი მოლაპარაკებები ჩატარებულიყო, საბოლოოდ 2010 წელს პრაღაში რუსეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა და ბარაკ ობამამ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას. ხელშეკრულების მხიედვით ორივე მხარე, რუსეთმაც და ამერიკამაც უნდა შეამცირონ სტრატეგიული იარაღის გადამტანები და მძიმე ბომბდამშენები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უნდა შემცირებულიყო „სამჯერ“ ბირთვული ქობინების რაოდენობა. „ჩვენი ერებისთვის და მტელი მშოფლიოსთვის ცუდია, როცა ამერიკასა და რუსეთს არ შეუძლიათ ითანამშრომლონ გლობალურ საკითხებზე... ხელშეკრულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ბირთვული თავდაცვისა და ბირთვული იარაღის

[18] https://www.amerikiskhma.com/a/mcfaul-on-russia-and-region/3749047.html -ამერიკის ხმა (04.03.2017 მაკა ჩხიკვაძის სტატია - ამერიკის ახალი „ ცივი ომი „ რუსეთთან (08.10.2018)

გაუვრცელებლობის საკითხებში და, რაღა თქმა უნდა, ამერიკა - რუსეთის ურთიერთობების მომავალი გაღმავებისთვის," - ასე აფასებს ბარაკ ობამა ხელშეკრულებას.[19]

უნდა არინიშნოს ის გარემოებაც, რომ რუსეთ ამერიკის ურთიერთობებში მხოლოდ დათმობის პოლიტიკა არ ტარდებოდა, ჩვენ ვნახეთ რუსეთ-ამერიკის შეუთანხმებლობაც, ის ფაქტი რომ მხოლოდ ხელშეკრულება დაიდო ბევრს არაფერს წყვეტდა, რადგან რატიფიცირების მოლოდინში შესაძლებელი იყო ეს ხელშეკრულება საერთოდ არ განეხილათ. გამომდინარე იქიდან, რომ რესპუბლიკელები ობამას პოლიტიკას სკეპტიკურად უყურებდნენ და ასევე შესაძლო იყო რუსეთის დუმიდანაც ყოფილიყო დაბრკოლება, რადგან რუსეთი მხარე (რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი) მოითხოვდა, სანამ ამერიკა უკან არ წაიღებდა ანტირაკეტული სისტემების განთავსების გეგმას ევროპაში, მანამდე არ აპირებდა რუსეთის მხარე ხელი განეხილა ხელშეკრულება, აქედან გამომდინარე მხარე ამერიკის შეერთებულ შტატებს ულტიმატუმს უყენებდა. უნდა განვიხილოთ მეორე უთანხმოების ფაქტორიც, როდესაც ვერც ერთი ქვეყანა შეთანხმდა სარაკეტო თავდაცვითი ფარის საკითზე, რუსეთი კიდევ უფრო გააღიზიანა იმ ფაქტმა, როდესაც რუმინეთის პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ ის დათანხმდა საკუთარ ტერიტორიაზე ანტისარაკეტო ფარის განთავსებაზე. ეს სისტემა რა თქმა უნდა არ იყო მიმართული რუსეთისთვის, როგორ მწვავედაც რუსეთი მიიჩნევდა, ეს ყოველივე მიმართული იყო რათა დაეცვა ქვეყნის ტერიტორია მოსალოდნელი საფრთხეებისგან. შეერთებული შტატებისთვის ეს საკითხი ძალზედ კრიტიკული. ასევე ობამას ადმინისტრაციისთვის მიუღებელი იყო, რუსეთის მიერ გავლენა მის მეზობელ ქვეყნებზე, რაც XXI საუკუნეში ყოვლად მიუღებელს ხდიდა. შტატები ღიად აღიარებდა რუსეთის მიერ არასწორ საქციელს და დაზარალებულ მხარეებს პირდებოდა თანადგომას. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია

[19] http://nasrashvili.blogspot.com/2010/06/blog-post.html -კ ობამას საგარეო პოლიტიკა (19,06,2018)

აცხადებდა, რომ ხელს შეუშლიდა რუსეთს, რათა მისი აგრესია შეეკავებინათ. აღსანიშნავი ფაქტია, რომ საქართველოსა და უკრაინაზე იყო ყურადღება გამახვილებული. სწორედ, ეს იყო საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი ობამას ადმინისტრაციის მხრიდან, რომელიც ნატოს ალიანსის გაფართოებას ისახავდა მიზნად ამ ორი ქვეყნისთვის.

მიუნხენის სამიტზე ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა ამერიკის საგარეო პოლიტიკის მთავარ მიმართულებად ირანი, ავღანეთი, რუსეთი და ნატო მიიჩნია. ჯონ ბაიდენი მიიჩნევდა, ამერიკასა და რუსეთს შორის ამდენი წლების დაძაბული ურთიერთობების დრო უკვე მოჭმული იყო, ეს დაძაბულობა უკვე მოგვარებას საჭიროებდა, სადაც ამერიკისა და რუსეთის შეხედულებები გადასახედი იყო, რათა საერთო ინტერსები გამოკვეთილიყო და ერთად შეთანხმებულ აზრამდე დასულიყვნენ. ასეთი სახის საკითხები იყო ერაყში ბირთვული იარაღის წარმოება და ასევე ავღანეთის საკითხი.

ცნობილი ექსპერტი ნაილი, რომელიც აკვირდებოდა ამერიკა რუსეთის პოლიტიკურ ურთიერთობებს, ასეთი სახის მიდგომა მიიჩნია გულუბრყვილოდ ამერიკის მხრიდან და სარისკოდაც კი ჩათვალა. „ესაა ბრმა თვალის მიპყრობა მოსკოვისკენ,რომელიც თავის კუნთებს ევროპისა და მთელი მსოფლიოს ირგვლივ უმოწყალოდ ატარებს.“

ბარაკ ობამას პოლიტიკას ასევე უარყოფითად აფასებს პროფესორი, ექსპერტი რუსეთის მცოდნეობის დარგში, სტეფან კოენი. იგი ცნობილია, როგორც პროგნოზირების ავტორი - სწორედ კოენმა გამოთქვა მოსაზრება რუსეთსა და საქართველოს შორის ომის შესაძლებლობაზე. სტეფან კოენი მიიჩნევს, რომ ამერიკასა და რუსეთს შორის დაძაბულობის მიზეზები მრავლადაა: კოსოვო, ირანი, უკრაინა,ვენესუელა,ნატო,ნავთობი,ატომური იარაღი,კრემლის პოლიტიკა და მათ შორის საქართველოც, მაგრამ დღევანდელი ურთიერთობა იმაზე უარესია,ვიდრე ის იყო ბოლო 20 წლის მანძილზე, რომელი ურთიერთობაც უკვე ცივ ომშია გადაზრდილი. თუმცა არიან ბარაკ ობამას პოლიტიკის დადებითად

შემფასებლებიც. ბრუკლინგის ინსტიტუტის წამყვანი მკვლევარი, ყოფილი აშშ_ს ელჩი უკრაინაში სტივენ პაიფერი მიიჩნევს ობამასეულ პოლიტიკას ე.წ „გადატვირთვის პოლიტიკად“, 2008 წლის შემდგომ უკიდურესად დაძაბულ ურთიერთობასთან შედარებით, უკეთესად მიიჩნევს, თუმცა არ უარყოფს არსებულ პრობლემებსაც. სტივენ ჯონსი, რომელიც რუსეთის ექსპერტია . ის მიიჩნევს, რომ : “ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ობამა რუსეთს აწყობს და მოსკოვს მიაჩნია, რომ მასთან მუშაობა შესაძლებელია. პრეზიდენტ ობამას ისინი უკვე მიეჩვიენ. როგორც იტყვიან, შეჩვეული ჭირი ურჩევნიათ ახალ ეშმაკს“.

ის რომ ბუშის პოლიტიკა მოიაზრებოდა ამერიკული სამხედრო ძალით ეწარმოებინა მოქმედებები ამერიკული დემოკრატიის გასავრცელებლად, ამ იდეოლოგიას თავის გამზიარებელი ჰყავს. თუმცა ის რომ ბუშის ადმინისტრაცია დიდი დიპლომატიით არ გამოირცეოდა ესეც უდაო ფაქტია. ობამას საპრეზიდენტო კამპანია არაფრით გამოირჩეოდა სხვა პრეზიდენტობის კანდიდატების დაპირებებისგან. ობამა იყო ის პრეზიდენტი, რომელიც პირდებოდა თავის ამომრცეველს რასაც ნებისმიერი საპრეზიდენტო კანდიდატი დაპირდებოდა მათ. მისი დაპირებები სტანდარტული იყო : „ უნდა განამტკიცოს ალიანსები, დააშინოს მტრები, გადაწყვიტოს კრიზისები, გამოასწოროს კონფლიქტები, დაიცვას მეგობრები, ჩაატაროს მოლაპარაკებები, შეიკავოს ომები და აშ.[20]“ ბარაკ ობამა რეალისტია, სწორედ ეს გამოარჩევს მას სხვა პრეზიდენტებისგან. ის კარგად ხედავს მსოფლიოს, არ მიაჩნია, რომ ამერიკა არის ქვეყანა, რომელიც მუდმივად იქნება ღერძი, რომლის გარშემოც მუდმივად იბრუნებს დედამიწა. ობამას მიაჩნია, რომ „ჭკვიანი ძალა“ რომელიც ურთიერთობების განმტკიცებას გულისხმობს, აუცილებელი ფაქტორია პოლიტიკაში. ის გამიზნულად ცდილობს ურთიერთობები დაალაგოს ისეთ ძიერ მოკავშირეებსთან როგორებიც არიან : რუსეთი, ჩინეთი და ევროპა, რადგან ზუსტად ამ სამ პოლუსზეა კონცენტრირებული მსოფლიო ძალა.

[20] http://nasrashvili.blogspot.com/2010/06/blog-post.html - ბარაკ ობამას საგარეო პოლიტიკა 19,06,2018

აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამერიკის პრეზიდენტის ობამას პოლიტიკა არ მიეკუთვნება „იდეალიზმს“, ის საკმაოდ რეალისტურია. ობამას მიაჩნია, რომ რუსეთის მუქარა მეზობელ ქვეყნებზე არ მიანიშნებს მის სიძლიერეს, რადგან ძლიერები აღიარებენ და სიძლიერეს ასეთი სახით არ ამტკიცებენ, ეს კი სისტუსტის გამოვლინებაზე მიანიშნებს, რასაც რუსეთი აკეტებს. ობამას მიაჩნია, რომ „ჭკვიანი ძალის“ ძალისხმევით, რომელმაც ამერიკის შტატების სიძლიერე არა სახელმწიფოებთან დაპირისპირებით, არამედ მათთან თანამშრომლობით და მეგობრობით უნდა ხდბეოდეს. ამის ნათელი მაგალითია გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მიღება ირანის სანქციების შესახებ, რომელსაც ობამამ მიაღწია და მოიპოვა თვით რუსეთისა და ჩინეთის მხარდაჭერა.

3.2 კიბერუსაფრთხოების პრობლემები

თანამედროვე სამყარო მთლიანად ვირტუალური სამყაროსა და ინტერნეტ კავშირის ეპოქად იქცა, ზემოთ აღნიშნული ორი ელემენტის ერთობლიობას კი კიბერსივრცე ეწოდება. მისი დახმარებით, შესაძლებელია მომენტალურად მივიღოთ სასურველი ინფორმაცია, დავამყაროთ კავშირი მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან და მივიღოთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები.

მიუხედავად ყველა დადებითი მხარისა, კიბერსივრცის დღევანდელი არქიტექტურა არ იძლევა ამ კავშირების უსაფრთხოების გარანტს, რაც მნიშვნელოვანი საფრთხის წინაშე აყენებს როგორც უბრალო მოქალაქეებს, ასევე მსოფლიო ეკონომიკასა და გლობალურ ინფრასტრუქტურას.

ჩამოთვლილი მიზეზებიდან გამომდინარე კიბერ უსაფრთხოება თანამედროვე სამყაროს ნამდვილ გამოწვევას წარმოადგენს, რომელთან გამკლავებაც შესაძლებელია სამართალმცოდნეების, უსაფრთხოების ექსპერტებისა და საზოგადოების აქტიური მონაწილეობით.

ინტერნეტსახასიათებს ოპერატიულობა და ინფორმაციულობის გავრცელების სისწრაფე მთელს მსოფლიოში, მისთვის მიუღებელია დრო და სივრცე, ის მარტივი და იაფია. სოციალური მედიის გამოყენებისას მომხმარებელს ვირტუალურ სივრცეში შეუძლია შექმნას, გააქტიუროს და მართოს თავისი პირადი პროფილი, დაიმკვიდროს თავისი ადგილი არარეალურ სამყაროში, რომელსაც გაუზიარებს მსოფლიო აუდიტორიას. მოცემული საშუალებების ინტერაქტიულმა ხასიათმა შეცვალა მასიური საინფორმაციო საშუალებების ცალმხრივი გავრცელებიდან ორმხრივ დიალოგისკენ. კერძოდ „ეს არის გადართვა, სადაც ადამიანები აკეთებენ ახალ აღმოჩენებს, კითხულობენ და უზიარებენ ერთმანეთს ახალ ამბებსა და ინფორმაციას, მათ შორის წერით, ვიდეო, ფოტოდააუდიო საშუალებებით“. მოკლედ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოციალური მედია ეს არის კიბერსივრცეში მიღწევადი კავშირისა და კომუნიკაციის საშუალება, რომელიც ოპერატიულად ფუნქციონირებს ტექნოლოგიური მოწყობილობების ბაზაზე (ინტერნეტი, მობილური ტელეფონები, კომპიუტერები და სხვა) და გააჩნია პროგრამული უზრუნველყოფის (Facebook, Twitter, MySpace, LinkedIn, YouTube და ა.შ.)პლატფორმა. ყოველივე აღნიშნულის დახმარებით მომხმარებლებს შეუძლიათ:

•ერთმანეთთან ურთიერთობა;

•სხვადასხვა სახის კონტენტების (ვიდეო, ფოტო, აუდიო, დასხვა) გაზიარება;

•ქსელური გაერთიანებების შექმნა (პროფესიული, რელიგირი, კულტურული, ნაცნობები, პოლიტიკურიდაა. შ.);

•სოციალური იდენტურობის განსაზღვრა და განვითარება.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური სივრცე ყოფით ცხოვრებაში ძალიან დიდ კომფორტს გვიქმნის, არსებობს მისი უარყოფითი მხარეებიც. ერთია მისი ეფექტიანობა, სტრატეგიული თუ ტაქტიკური მიზნების მისაღწევად, საფრთხეებზე მუშაობა და ამ საფრთხეების დროული პრევენცია. მეორე, რამდენად ქმნის

საფრთხეს მისი თუნდაც ერთი არასწორი გამოყენება. არა მარტო ჩვენი პირადი ინფორმაციის, არამედ ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისითაც.

ბოლო დროის ყველაზე გახმაურებულსკანდალად „ფეისბუქსა“ და „კემბრიჯ ანალიტიკის“ გარშემო განვითარებული მოვლენებია. ზემოთ აღნიშნული პრობლემის მაგალითია. როგორც გაირკვა, „კემბრიჯ ანალიტიკ“-მა„ფეისბუქის“ მეშვეობით მოიპოვებდა ადამიანების პირად მონაცემებს და შემდგომ ახდენდა თავიანთი პოლიტიკური მიზნებისთვის მათ გამოყენებას. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ბრიტანეთის საპარლამენტო კომიტეტმა და ამერიკის კონგრესმა მარკ ცუკენბერგი, რომელიც მოგეხსენებათ ფეისბუქის შემქმნელია, დაკითხვაზეც კი დაიბარეს.

ყველა სოციალური ქსელის მომხმარებლებს კარგად გვახსოვს, როდესაც დაიწყო სხვადასხვა „ქვიზები“_ს შემოთავაზებები,რომლებიც სხვადასხვაგვარი ტესტის სახისიყო, საიდანაც შეგვეძლო გაგვეგო ათასნაირი „ვითომ“ საინტერესო თუ უბრალოდ გასართობი სახის ტესტი ჩვენი საკუთარი თავის შესახებ. ერთ-ერთი ასეთი სახის ტესტი იყო “this is your digital life”, რომელიც პერსონალური ტიპის დადგენას გვთავაზობდა. აპლიკაცია კემბრიჯის აკადემიკოსის, ალექსანდრ კოგანის მიერ იყო შექმნილი, რომელიც გათვლილი იყო არა მხოლოდ ქვიზში მონაწილე ადამიანების პირადი მონაცემების გაგებით, არამედ მათი მეგობრების მონაცემებიც იშიფრებოდა. ამით ბატონმა კონგმა შეძლო 50 მილიონი მომხმარებლის შესახებ მიეღო ინფორმაცია, თან ისე რომ მათი თანხმობა არც იყო საჭირო. ასეთი სახის პირადი ინფორმაციის გამოყენება,თუნდაც ეს იყოს არასაჭირო სახის გამოყენება, ამერიკაში არის კანონის სახით მიღებული, რომლის მიხედვითაც ფიზიკურ პირს შეტყობინების სახით მისდის, რომ მის მონაცემებს იყენებენ.

„კემბრიჯ ანალიტიკა“, არის ბრიტანული კერძო კომპანია, რომელიც მონაცემთა მოპოვებისა და გადამუშავების გზით საარჩევნო პროცესებისთვის სტრატეგიული კომუნიკაციების შექმნაში მონაწილეობს. „კემბრიჯ ანალიტიკა“

ცნობილი 2015 წელს გახდა, როდესაც ის იყო ჩართული ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატ ტედ კრუზის საარჩევნო კამპანიაში. 2016 წელს ამჟამინდელი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დონალდ ტრამპის კამპანიაშიც მიიღო მონაწილეობა, როგორც ცნობილია ის იღებდა Leave.EU კამპანიაშიც მონაწილებას, რომელიც დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლას უჭერდა მხარს.

კითხვა - რაში სჭირდება „კემბრიჯ ანალიტიკა"-ს ფეისბუქის მონაცემები? კომპანიის პოლიტიკიდან და მიზნებიდან გამომდინარე, ამ კომპანიას შეუძლია გადაამუშაოს მონაცემები, შესაბამისი საარეჩევნო კომუნიკაციის წარსამართად. რა თქმა უნდა, დაზუსტებით იმის მტკიცება თუ რა სახით გამოიყენეს ეს ინფორმაცია და რა როლი შეასრულა მოპოვებულმა მონაცემებმა დონალდ ტრამპის გამარჯვებაში შეუძლებელია. თუმცა, ფაქტია შემდგომი ბრალდებები ორი მოწინააღმდეგის მხრიდან საპირისპირო ბრალდებებით საჯარო განხილვის თემადაც კი იქცა, რომელიც დღემდე აქტუალურია. ერთი მხარე აცხადებს რომ არ გამოუყენებიათ ეს ინფორმაციები, მეორე მხარე ირწმუნება რომ გაანადგურეს მოპოვებული ინფორმაციები. თუმცა ვაილიმ განაცხადა, რომ მონაცემები არავის წაუშლია, „Channel 4"-ში მოგვიანებით გავრცელდა კადრები, რომელშიც „კემბრიჯ ანალიტიკის" აღმასრულებელი დირექტორი, ალექსანდრ ნიქსი ხვდება პოტენციურ დამკვეთს, ფარული კამერით გადაღებულ კადრებში ჩანს ნიქსი როგორ ამბობს, რომ ტრამპის კამპანიისთვის მათ ფეისბუქის მონაცემები გამოიყენეს. „CNN"_მა კოგანის ლექციების ჩანაწერები მოიპოვა, სადაც იგი უყვება სტუდენტებს თუ როგორ შეიძლება ფეისბუქის მონაცემებზე დაყრდნობით ადამიანის ფსიქოტიპის შესწავლა. საინტერესო ფაქტია, პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც ერთ-ერთი წამყვანი უნივერსიტეტია რუსეთში, დიდი რაოდენობით დაფინანსებას იღებს რუსეთის ფედერალური ბიუჯეტიდან. ამ ყველაფერზე ბუნებრივია გაჩნდა ეჭვი კოკანის რუსეთის აგენტობაზე, რასაც მკვლევარი უარყოფს. სენატორი მოითხოვს ცუკემბერგმა

წარმოადგინოს მტკიცებულება თუ როგორ და რა სახით არისმომხმარებლისპირადი მონაცემები დაცული. ევროპარლამენტის თავჯდომარე მოითხოვს გაირკვეს, მონაცემები პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენეს თუ არა. საეჭვოდ არის მიჩნეული ის ფაქტიც, რომ „კემბრიჯ ანალიტიკის“ აღმასრულებელი დირექტორი, ალექსანდ ნიქსი სამსახურიდან გაანთავისუფლეს.

დღევანდელი შედეგებით სოციალური მედიის გავრცელებამ და გამოყენებამ აშკარად გაუსწრო მისი შესწავლის პროცესს. მისი ასეთი სწრაფი განვითარება გვაძლევს საშუალებას სხვადასხვა სახის პროცესებზე ვაწარმოოთ მონიტორინგი სახელმწიფოს მხრიდან, რაც საშუალებას მოგვემს თავიდან ავიცილოთ რიგი პრობლემები საშინაო თუ საგარეო საქმეში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სოციალურ მედიას საკმაოდ აქტიურად და წარმატებულადაც კი იყენებენ საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთი ინტერესების მისაღწევად არაფერს ერიდებიან. აქედან გამომდინარე აუცილებელია, სწორად იქნეს გამოყენებული სოციალური მედიის შესაძლებლობები, თუმცა აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ არ დაირღვეს მომხმარებლის, როგორც პიროვნების უფლებები.

როგორც ვიცით 2011 წლის 3 ივნისს მიღებული იქნა გაეროს რეზოლუცია, რომელიც ინტერნეტ წვდომას ადამიანის საბაზისო უფლებად აღიარებს და მისი გათიშვა ნებისმიერი რეგიონალური სერვერიდან ადამიანთა უფლებების თავისუფლების შეზღუდვად აღიქვამს. „ინტერნეტს არ გააჩნია მეპატრონე, ის კაცობრიობის საკუთრებაა.“

თანამედროვე სამყაროში, როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში საზოგადოების ლექსიკაში მყარად დამკვიდრდა ტერმინები: კიბერსივრცე, ინფორმაციული ომი, ინფორმაციული უსაფრთხოება, კიბერ დანაშაული, კიბერ შეტევა, კიბერ უსაფრთხოება და შესაბამისი კანონმდებლობა... არსებობს ტერმინის „კიბერსივრცის“ განმარტების ბევრი ვარიანტი და ყველა

მათგანი იძლევა თავისებურ განსაზღვრებას. თუმცა ყველა განმარტებაში აღნიშნულია, რომ „კიბერსივრცე“ წარმოადგენს ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურის ურთიერთკავშირის კომპლექსს, რომელიც მოიცავს ინტერნეტის გლობალურ ქსელს, კომპიუტერულ სისტემებს, ტელესაკომუნიკაციო ქსელებსა და პროცესორებს. გლობალური ქსელების მიმართ არსებულ მზარდ ინტერესს თან ახლავს მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ადეკვატური ზომები. ეს გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ თავდაპირველად ინტერნეტი იქმნებოდა სამეცნიერო მონაცემების გაცვლის მიზნით, თუმცა დღეს ეს სურათი კარდინალურად არის შეცვლილი და ამჟამად ინტერნეტის გლობალური ქსელი წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის მხარდამჭერ ერთ-ერთ ძირითად საშუალებას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ინტერნეტის კონსტრუქციული თუ დესტრუქციული მიზნებით გამოყენებისა და მისი ფუნქციონირების საკმაოდ სწრაფად მზარდი პროცესი წინ უსწრებს ინფრასტრუქტურის რეფორმირებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძალისხმევას.

ბოლო ორათწლეულში ჩვენ გავხდით ე.წ. „ინფორმაციული აფეთქების“ უნებლიე მოწმეები, როცა პრაქტიკულად არავის შეუძლია გვერდი აუაროს ინფორმაციულ ქსელებზე დაშვებასა და მის გამოყენებას, ეს იქნება პირადი საყოფაცხოვრებო თუ პროფესიულ დონეზე. თავის მხრივ, კიბერ უსაფრთხოება ანუ ინტერნეტის გლობალური ქსელის უსაფრთხოება მოიცავს საკითხის გადაჭრის გლობალურ მასშტაბს, თუმცა ამ მიმართულებით არსებული ღონისძიებების დიდი ნაწილი ხორციელდება ცალკეული ქვეყნებისა და მათი ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დონეზე, რაც არ არის საკმარისი და საკითხი მოითხოვს საერთაშორისო თუ რეგიონალურ მიდგომას. ინტერნეტის შემქმნელები ვერასდროს წარმოიდგენდნენ, რომ ინტერნეტ ტექნოლოგიების მზარდი განვითარება წარმოშობდა ისეთ მასშტაბურ სისტემათა სისტემას, რომლის უსაფრთხოება ესოდენ მნიშვნელოვან გამოწვევად გადაიქცეოდა. ამ ახალმა მეცნიერულმა მიღწევამ ბევრ სიკეთესთან ერთად, ასევე წარმოშვა ახალი

საფრთხეები და საბრძოლო სივრცის ახალი ველი. ყოველდღიურად ხდება კიბერდანაშაული ინდივიდების, სხვადასხვა ბიზნესისა თუ მთავრობის წინააღმდეგ. დღესკიბერთავდასხმები წარმოადგენს საფრთხეს, რომლის წინააღმდეგაც ეროვნული უსაფრთხოების ექსპერტები ეძიებენ უფრო ეფექტურ, თანმიმდევრულ კიბერპოლიტიკას, ქმნიან სტრატეგიულ დოკუმენტებსა და თავდაცვის მეთოდებს. კიბერ სივრცეში უსაფრთხოების უზრუნველყოფის სირთულეებს საზღვრები არ გააჩნია. თუმცა ყველა ქვეყანა ცდილობს ეს საკითხი გადაჭრას თავად დამოუკიდებლად, რის გამოც ყველა საჭირო ზომები და ღონისძიებები ხშირ შემთხვევაში არ არის საკმარისი.

ექსპერტთა მონაცემებით 30-ზე მეტ ქვეყანას უკვე გააჩნია შეტევითი ხასიათის კიბეროპერაციების წარმოების შესაძლებლობები, რაც კიდევ უფრო რეალურს ხდის უკანასკნელ პერიოდში ტენდენციად ქცეულ კიბერსივრცის გამოყენებას პოლიტიკურ თუ სამხედრო მიზნების მისაღწევად და გეოპოლიტიკური უპირატესობის მოსაპოვებლად. სტასისტიკის მიხედვით მსოფლიო მასშტაბით ქვეყნები კოლოსალურ თანხებს ხარჯავენ კიბერშესაძლებლობების განვითარებისთვის.

არსებობს სხვადასხვა ტიპის კიბერ შეტევა ხოლო მათ შორის ყველაზე გავრცელებულია DDoS (Distributed Denial of Service), რომელიც თიშავს სერვერებს ჰაკერების მიერ მსოფლოშიდაინფიცირებული მომხმარებლების მეშვეობით. ამ ტიპის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური კიბერ შეტევა განხორციელდა მინესოტას უნივერსიტეტის სერვერების წინააღმდეგ. ძალზე სახიფათოა ვირუსიები ე.წ „ჭიები“ (Worms), რომელმაც 2010 წელს ირანის ბირთვული იარაღის დესტრუქციაც კი მოახდინა. ასევე პოპულარულია ჰაკერების მიერ ვებ გვერდებით გატეხვა (web site defacement), რომელსაც შეუძლია ვებ გვერდის შიგთავის სრლიად ცვლილება.

ნატო ოპერაციებს ძირითადად კიბერქსელების გამოყენებით ახორციელებს. სწორედ ამიტომ ალიანსი დიდ ყურადღებას აქცევს წევრობის

მსურველი ქვეყნების კიბერსივრცის უსაფრთხოებას და ავალდებულებს მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭონ კიბერსფეროსთან დაკავშირებულ საკითხებს და კიბერუსაფრთხოება განიხილონ არა როგორც რევოლუციური მოვლენა, არამედ როგორც სტრატეგიული ამოცანა. ნატოს ხედვის თანახმად, კიბერთემატიკის მზარდი მნიშვნელობა ევოლუციური პროცესისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი მოვლენაა და არა რევოლუციური. FBI-ის მონაცემებით კომპიუტერული დანაშაულებების დაახლოებით 85% საერთოდ არ მუღავნდება, სასამართლოზე ფაქტების მხოლოდ 1% მიდის.FBI -ს მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ კომპიუტერული დანაშაულის შემთხვევაში სამართალდამცველ ორგანოებს კომპანიების მხოლოდ 17%-ი მიმართავს. აქედან გამომდინარე ექსპერტები აცხადებენ, დაზარალებულთა ამგვარი დამოკიდებულება უწყობს ხელს კიბერდანაშაულთა განსაკუთრებულ ზრდას. კორპორაციები და სამთავრობო ორგანიზაციები მავნე პროგრამებისგან დასაცავად და მათთან საბრძოლველად უსაფრთხოების სპეციალიზებულ პროგრამაზე ყოველწლიურად მილიარდობით დოლარს ხარჯავენ. კიბერდანაშაულის მზარდი სტატისტიკა ძირითადად განპირობებულია კიბერსაკითხებზე საზოგადოების დაბალი ცნობიერებით. კიბერდამნაშავეები ძირითადად იყენებენ ფიშინგს, სპამის მეთოდებსა და სხვადასხვა მავნე პროგრამებს.

3.3 სავარაუდო მექანიზმები და მიზეზები კიბერშეტევისთვის.

XXI საუკუნის ახალი გამოწვევა სწორედ, რომ კიბერსაფრთხეს წარმოადგენს. ის იმდენად გლობალურ პრობლემად იქცა, რომ ყველა ქვეყანა ჩართულია მასთან ბრძოლის მექანიზმები შეიმუშაოს, თუმცა მსოფლიო

თანხმდება, რომ სახელმწიფო პოლიტიკაში თუ ტექნიკურ საკითხებში უდიდეს სირთულეებს ვაწყდებით ამ პრობლემასთან საბრძოლველად. როგორც ზემოთ უკვე ავღნიშნეთ, „კიბერსივრცე“ წარმოადგენს ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ კომპლექსურ კავშირს. დღევანდელ მსოფლიოში კიბერსივრცეში არსებული მდგომარეობა თანდათან რთულდება და უფრო და უფრო შემაშფოთებელი ხდება. 2014 წლის კვლევების მიხედვით, ძირითად მოთამაშეებად კიბერსივრცეში შეერთებული შტატები, რუსეთი, ირანი, ჩინეთი,ისრაელი და ჩრდილოეთ კორეა მოისაზრებიან. ეს ქვეყნები გამოიყენებენ სწორედ ყველაზე გამოკვეთილად აგრესიულ მეთოდებსა თუ მოქმედებებს კიბერსივრცეში. ამერიკელი მეცნიერები მიიჩნევენ, რომ კიბერთავდაცვა როგორც კიბერუსაფრთხოების პრევენცია, შეუძლებელია, რადგან დღევანდელი მოსფლიოს კიბერსაფრთხეების სიხშირე, მასშტაბები, სირთულეები და საშიშროების დონე მუდმივად მზარდია, სადაც ჩვენ ვხდებით ახალ-ახალგამოწვევებს, ამიტომ მეცნიერებს ამ საკითხთთან ბრძოლა მიუღწევლად ესახებათ.

კიბერუსაფრთხოების აღსაქმელად საჭიროა მისი რისკების,საფრთხეების და სისუსტეების შეფასება, თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია მას ეროვნულ დონეზე. განვიხილოთ ორი უდიდესი სახელმწიფოს რუსეთისა და ამერიკის მაგალითზე ეს უდიდესი პრობლემური საკითხი.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ KGB Eighth (Encoding)_ის ბაზაზე შეიქმნა სამთავრობო კომუნიკაციების და ინფორმაციის საიდუმლო ფედერალური სააგენტო „FAPSI“, რომლის ფუნქციებშიც სამთავრობო კომუნიკაციების დაცვა, რადიო შპიონაჟი და რადიო ჩახშობა შედიოდა. „Lourdes (Cuba) Signals Intelligence (SIGINT) facility“ რუსეთის ფედერაციის საიდუმლო ბაზას წარმოადგენს კუბაზე,მართალია ოფიციალური ინფორმაციით ის დახურულად ითვლება, თუმცა ფიდერ კასტროამბობდა, რომ რუსეთი სამხედრო სტრატეგიული ინფორმაციის 75% სწორედ ამ ბაზიდან იღებს, რადგან ამ ბაზას აქვს უნარი ისევ დაიჭიროს სიხშირე, საიდანაც ის ამერიკის

შეერთებული შტატების სამთავრობო და კომერციული სექტორიდან მიიღებს ინფორმაციას. „PCB“ _ იგივე რუსეთის ფედერალური სამსახური უზრუნველყოფს უსაფრთხოების უზრუნველყოფას, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვასა და რეალიზებაში, ისე ის აკონტროლებს და იცავს ტექნიკურ მხარესაც სახელმწიფოში. ფედერალური სამსახურის განკარგულებაშია ინფორმაციისა და სპეციალური კავშირების სამსახური. რუსეთის ფედერაციაში მოგეხსენებათ განსხვავდება სამთავრობო თუ არასამთავრობო ფაქტორები, რადგან ისინი ფაქტიურად ფარულად თანამშრომლობენ,ასე რომ, ვთქვათ მალავენ როგორც წესი კრიმინალურ აქტივობებს. რუსეთის სამიზნე კრიტიკული ინფორმაციული სისტემებია,ამის მოწმე არაერთხელ გახდა უკვე სრულიად მსოფლიო საზოგადეობა. კიბერშპიონაჟის წარმატებულ ოპერაციებს შესანიშნავად ართმევს თავს რუსეთის ფედერაცია. კრემლს საკმაოდ ძლიერი იარაღი უჭირავს „KASPERSKY LAB“_ის სახით, ამის გახმაურებული ინციდენტია,რუსეთის ე.წ სახელმწიფო ჰაკერებმა აშშ_ის ეროვნული უშიშროების სააგენტოს მიერ გამოყენებული ჯაშუშური ხელსაწყოების შესახებ ინფორმაცია სააგენტოს კონტრაქტორის გავლით მოიპოვეს, რომელსაც როგორც შემდგომ გახდა ცნობილი სწორედ „KASPERSKY LAB“_ის ანტივირუსი ეყენა.„KASPERSKY“ აღიარებულ საფრთხეს წარმოადგენს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებისთვის, ამის შემდგომ მოხდა სწორედ მოწოდებები შეზღუდულიყო რუსეთის ანტივირუსული პროგრამები და ელექტრონული ფოსტის სერვისების გამოყენება, განსაკუთრებით სახელმწიფო სტრუქტურებში, რომელიც სერიოზული საფრთხის შემცვლელია,როგორც პოლიტიკურ ისე ეკონიმიკურ სფეროში კრემლის მხრიდან. აღსანიშნავია, რუსული ჰაკერული დაჯგუფება „Energy Bear“ და „Dragonfly“_ის გააქტიურება, რომლებსაც როგორც ჩვენთვის ცნობილია, საკმაოდ დიდი შესაძლებლობები გააჩნიათ. მათ მიერ განხორციელებული ოპერაციებია:შეტევები დასავლეთის ნავთობზე, გაზის და ასევე ელექტრო კომპანიებზე. ჰაკერული შეტევების უკან კრემლი დგას, თუმცა ოფიციალურად ამის

დადასტურება საბუთით ვერ ხერხდება იმდენად გათვლილად, ფარულად და მაღალტექნოლოგიურად ასრულებს რუსეთი ამას. „Russian Business Network“(RBN) არის კარგად ორგანიზებული კიბერ კრიმინალური ორგანიზაცია, რომელიც ცნობილია თავისი პროდუქტის გაყიდვით, იგი კიბერდანაშაულებზეა მიმართული. მისი ცნობილი პროდუქტებია: „Web hosting“, „Matware“ _ მავნე პროგრამები, „Spyware“_ ჯაშუშური პროგრამები, „DDOS“ _ის შეტევები, ფსევდო ანტივირუსები, ონლაინ კაზინოები, ბავშვთა პორნოები და სხვა.

ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვის უწყების მიერ გამოქვეყნებული დასკვნა, რომელიც რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მიერ არის გაცემული, არის განკარგულება 2016 წლის საარჩევნო კამპანიაზე, რომელიც „გავლენის“ მოხდენის შესახებ იყო. რათა შტატების დემოკრატიის კანდიდატის მიერ გატარებულიყო ანტი კამპანია ეწარმოებინა, რაც მის მიმართ რეპუტაციის შელახვასა და უნდობლობას გამოიწვევდა, სამაგირეოდ რესპუბლიკელი კანდიდატის აწ უკვე მოქმედი პრეზიდენტის დონალდ ტრამპის მიმართ გამოიწვევდა დადებით მუხტს, რომელიც დღეს უკვე გარჩევის საგნად იქცა, თუმცა წარმატებულ კამპანიად ჩაითვალა დონალდ ტრამპის სასარგებლოდ. ფაქტია,მუდმივად ხდება წინააღმდეგობები კრემლის მიერ გატარებულ ნეგატიურ პოლიტიკაზე მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მხრიდან,რომელიც ხშირ შემთხვევაში მიუღებელია, ამიტომმათი და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან მასზე გარკვეული სანქციებიც დაწესდა, მაგრამ ისეთ აგრესორთან როგორიც რუსეთია რთულია შეზღუდვების დაწესება.

მინდა გაგაცნოთრუსეთის მიერ განხორციელებული ცნობილიკიბერდანაშაულები, რომელიც უკეთ შეძლებს დაგვანახოს ის მექანიზმები რომელსაც რუსეთი ფლობს.[21]

1) 2007 წლისაპრილ-მაისში, რუსეთსადაესტონეთსშორისარსებულიდაპირისპირებაგადაიზარდასერიოზულკიბ

[21](9/13. 11/13 **რუსეთის კიბერუსაფრთხოების შესაძლებლობები - ვლადიმერ სვანიძე -https://gipa.ge**

ერშეტევაში,
რომლისდროსაცგარკვეულიდროისგანმავლობაშიმიუწვდომელიიყოესტონურიინ
ტერნეტრესურსები.

2) 2008
წლისაპრილშირუსეთისმხრიდანგანხორციელებულიმასირებულიკიბერშეტევარა
დიოთავისუფალევროპასადარადიოთავისუფლებაზე.

3) 2008
წლისივნისსადაივლისშილიტვისკიბერსივრცეზეგანხორციელებულიკიბერშეტევებ
ი.

4) 2008 წლისივლის-
აგვისტოშირუსეთისმხრიდანმოხდაკიბერშეტევასაქართველოსკიბერსივრცეზე,
რაცზოგიერთიექსპერტისმიერშეფასდა, როგორცმასშტაბურიხასიათის
„საინფორმაციოომი“ მიმართულისაქართველოსწინააღმდეგ.

5) 2008-2014
წლებშირუსეთისმხრიდანსისტემურადხორციელდებოდაკიბერშეტევასაქართველ
ოსშინაგანდასაგარეოსაქმეთასამინისტროების,
აღმოსავლეთევროპისქვეყნებისსახელისუფლებო,
სამხედროწარმომადგენლობების, NATO_ სადა OSCE_სსაიტებზე.
ესკიბერშეტევებიხორციელდებოდარუსულიჰაკერულიდაჯგუფება APT 28
_ისმიერ, რომელსაცარაოფიციალურიინფორმაციით,
კოორდინაციასუწევსრუსეთისფედერალურიუშიშროებისსამსახური
(FCB).დაჯგუფებისთვისდამახასიათებელიაორშაბათიდანპარასკევისჩათვლით,
დილის 8საათიდანსაღამოს 6 საათამდემუშაობა. პირველად APT 28
ეგონათჩინურიწარმოშობის, მაგრამშემდეგექსპერტთაუმრავლესობადარწმუნდა,
რომიგიიყორუსულიჰაკერულიდაჯგუფება,
რომლისსავარაუდოადგილმდებარეობასანკტპეტერბურგია.

6) 2011-2014 წლებშირუსეთისმხრიდანგანხორციელებულიპერმანენტულიკიბერშეტევებიშეერთებულიშტატებისთავდაცვისადაუსაფრთხოებისსტრუქტურულქვედანაყოფზე, მათშორისიყოპენტაგონისადაეროვნულიუსაფრთხოებისსააგენტოს (NSA) დეპარტამენტები.მოცემულიკიბერშეტევებისდროსგამოყენებულიიქნამავნებლური პროგრამა (MALWARE) “Iroburos”, რომლისშესახებპირველიგანცხადებაგააკეთაგერმანულმაუსაფრთხოებისკომპანიამ„G Data Security“_მ.

7) შეერტებულიშტატებისფედერალურისაგამოძიებობიუროს (FBI) განცხადებით, 2014 წლისაგვისტოსშუარიცხვებშიგანხორციელდამასირებულიშეტევაუმსხვილესბანკზე „JPMorgan Chase&Co“_ზეკიბერშეტევისწყარომოდიოდარუსეთიდან.

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან დამეთანხმებით ნათელი ხდება, რომ რუსეთის ფედერაციისთვის კიბერშესაძლებლობების გამოყენება ინფორმაციულ ომში მთავარი ბერკეტია, რადგან ზემოთქმულიდან გამომდინარე, რუსეთის ფედერაცია აქტიურად არის კიბერუსაფრთხოებისა და კიბერშეტევის განვითარებაში ჩაბმული, რაზეც მიანიშნებს მისი მხრიდან უამრავი ინვესტიცია და ჰაკერული დაჯგუფებების მფარველობა.

რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, მოგეხსენებათ შტატები მაღალგანვითარებული მოწინავე ქვეყნაა კიბერუსაფრთხოების საკითხევებში. ის ერთ-ერთი ძირითადი მოთამაშეა მსოფლიოში. ძალიან დიდი მაჩვენებელი კიბერშეტევებისა, სწორედ რომ ამერიკის ფინანსურ თუ პოლიტიკურ სფეროებში ვითარდება. XX საუკუნის მიწურულს, როდესაც ეტაპობრივად კიბერსფეროს მნიშვნელობა მძაფრდებოდა მსოფლიოში, შტატებმა შეიმუშავა სტრატეგია, რომლის განხორციელებამაც ქვეყანას კიბერნეტიკის და ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში დომინირებული მდგომარეობა მიაღებინა.ცნობილი ფაქტია, რომ ბარაკ ობამამ 14 მილიარდი დოლარი გამოყო 2015

წელსკიბერუსაფრთხოების სფეროსთვის.[22] ეს ის თანხაა, რომელიც საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი, თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ექსპერტთა უმეტესობა მიიჩნევს რომ გაცილებით მეტი გამოიყო და კიდევ გამოყოფს მომავლში, რათაკიბერსაფრთხეების პრევენცია მინიმუმადე იყოს დაყვანილი.

ამერიკის კიბერუსაფრთხოების სისტემა სამსაფეხურიანია :

პირველი საფეხური ეროვნული (ფედერალური) დონის უწყებებს უკავია, თავდაცვის სამინისტრო, მის დაქვემდებარებაშია "ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო" (National Security Agency, NSA) კიბერუსაფრთხოებისთვის ერთ ერთი მნიშვნელოვანი აქცენტი შეიარაღებული ძალების მიზნებზე ვრცელდება, როგორც ჩვენთვის ცნობილია კიბერუსაფრთხოების ბიუროში 120 000 სპეციალისტია დასაქმებული, რომელთა ბიუჯეტიც 3,5_ დან 13 მილიარდ დოლარამდე მერყეობს.შიდა უსაფრთხოების სამინისტრო (Department of Homeland Security, DHS), მის შემადგენლობაშია"კიბერუსაფრთხოებისა და კომუნიკაციების ოფისი" (Office of Cyber Security and Communications), რომლის ბიუჯეტიც 400 მილიონ დოლარს შეადგენს და იუსტიციის დეპარტამენტში შემავალი „გამოძიების ფედერალური ბიურო" (Federal Bureau of Investigation, FBI), უწყების ფუნქციებში შედის ქვეყნის შიგნით განვითარებული ყველა სახის კიბერდანაშაულების გამოძიება.

მეორე საფეხური კიდევ უფრო მეტ სტრუქტურულ ქვედანაყოფს მოიცავს, ყურადღება მისაქცევი ის ფაქტია, რომ პირველი საფეხურის სტრუქტურაში ერთიანდება, მეორე საფეხურის ხუთი დანაყოფი, ეს ყოველივე მიანიშნებს იმას თუ რამდენად არის ჯაჭვური გადაბმა ამ სისტემაში, რათა კიბერუსაფრთხოების ყველა დასაშვები საფრთხე კარგად იყოს გაანალიზებული და გამოძიებული, დროულად მოხდეს მისი აღმოფხვრა. გაგაცნობთ მეორე საფეხურის სტრუქტურებს :

[22] http://gtu.geრუსეთისფედერაციისთავდაცვითიდაშემტევიკიბერშესაძლებლობებიბექაკახელი, გიორგიმარტიაშვილისაქართველოსტექნიკურიუნივერსიტეტი, 18.04.2018

1. კომპიუტერული უსაფრთხოების ინციდენტებზე რეაგირების ჯგუფი (United States Computer Emergency response Team, US-CERT);

2. კიბერუსაფრთხოების ეროვნული ცენტრი (National Cyber Security Division, NCSD);

3. კიბერდანაშაულთან ბრძოლის ცენტრი (Cyber Crimes Center);

4. კიბერსაფრთხეების საოპერაციო ცენტრი (NSA/CSS Threat Operations Center (NTOC);

5. შეიარაღებული ძალების კიბერსარდლობა (United States Cyber Command, USCYBERCOM).

ეს დანაყოფები სხვადასხვა ამოცანებს და მიზნებს ემსახურება, ისინი არა მხოლოდ კიბერშეტევების აღმოცენაზე არიან ორიენტირებულნი, არამედ ისინი მუშაობენ თუ როგორ მოახდინონ დანაშაულთა პრევენცია.

და ბოლოს მესამე საფეხური, რომელიც ამ ორის დაქვემდებარებაშია. მესამე საფეხური, რომელიც ლოკალურ და რეგიონალურ სრუქტურულ ქვედანაყოფებს წარმოადგენს. 2015 წელს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, რომ შექმნილიყო ახალი სპეცსამსახური „კიბერსაფრთხეებზე სადაზვერვო მონაცემების ინტეგრაციის ცენტრი“ (Cyber Threat Intelligence Integration Center, CTIIC), რომელიც უშუალოდ ეროვნული დირექტორის (Director of National Intelligence) დაქვემდებარებაში იქნებოდა. უწყება მოიცავს პირველი საფეხურის სპეცსამსახურებიდან, სახელმწიფო უწყებებიდან და კერძო სექტორიდან შეაგროვოს სადაზვერვო მონაცემები და გააკეთოს ანალიზი. ეს წყობა, მათი ერთმანეთზე დაკავშირებაფვართო ავტონომიას ანიჭებთ მათ.

ამერიკელები მიიჩნევენ, რომ კიდევ მეტის გაკეთებაა საჭირო ამერიკის რუსული კიბერ-თავდასხმებისგან დასაცავად. ამ საკითხთან დაკავშირებით სენატის სადაზვერვო კომიტეტის მოსმენაც გაიმართა და განხილულ იქნა მომავალი ამერკული შუალედური არჩევნების უსაფრთხოება, რომელიც ნოემბერში გაიმართება. ჯეჰ ჯონსონის თქმით, რუსეთის ქმედებები ჯერ არ არის შეკავებული და შესაძლებელია, განხორციელდეს რაიმე სახის ჩარევები. სენატორმა რიჩარდ ბარმა განაცხადა: „ეს სასწრაფოა, თუ ჩვენ ამ პრბლემების მოგვარებას ხვალ დავიწყებთ, შეიძლება დრო არ გვეყოს სისტემის გადასარცენად 2018 და2020 წლის არჩევნებისთვის“. არჩევნებამდე დიდი დროა დარჩენილი, თუმცა ამერიკის ოფიციალური პირები უკვე მუშაობენ ხმის მიცემის პროცედურისა და საარჩევნო ინფრასტრუქტურის საგარეო ჩარევისგან თავდაცვაზე, რადგან ფედერალური სამართალდამცავი ორგანოები ამბობენ, რომ 2016 წლის არჩევნებზე ამერიკის 21 შტატი იყო კიბერშეტევის სამიზნე. დონალდ ტრამპის ადმინისტრაციამ, ამერიკის წინააღმდეგ რუსულ ორგანიზაციებს და ინდივიდებს სანქციები დაუწესა და მიანიშნა, კიდევ იქნება გამკაცრდება სადამსჯელო ღონისძიებები გატარებული.[23]

[23] https://ilawge.blogspot.com -**რუსეთისკიბერშესაძლებლობები ნიკოლოზკოხრეიძე18.04.2018**

დასკვნა

კვლევის დასკვნის სახით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ რამდენიმე მოსაზრება. ჩვენს მიერ შერჩეულ თემატიკასთან დაკავშირებით პირველ რიგში, უნდა გამოვკვეთოთ, თუ რომელი სახელმწიფო ადმინისტრაცია ცდილობს უფრო მეტად, საგარეო პოლიტიკაში საფრთხეების დაბალანსებას. მოცემულ ნაშრომში ნათლად არის ნაჩვენები, ორი სხავდასხვა პერიოდის პრეზიდენტისა და მათი ადმინისტრაციების პოლიტიკა. შედარებებში კარგად ჩანს, თუ როგორ ცდილობდნენ წინამორბედები მათი საგარეო პოლიტიკის მაქსიმალურად დიპლომატიზაციას, რომელიც მათ მიერ დაბალენსებულ პოლიტიკაში იკვეთებოდა, ან პირიქით, აგრესიული პოლიტიკით ხასიათდებოდა. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია, თითოეული რეგიონის წევრის მიერ მათი მოკავშირის სიძლიერე კარგად იყოს გაანალიზებული.

სამაგისტრო ნაშრომში საფუძვლიანად გავეცანით პრეზიდენტის როლს სახელმწიფოსთვის. კონსტიტუციურად და სამართლებრივად განვიხილეთ მათი უფლებამოვალეობები. გვქონდა საშუალება გავცნობოდით საარჩევნო სისტემას, რაც ჩვენი თემის ერთ ერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენს. მოგეხსენებათ, დემოკრატიულ სახელმწიფოში არჩევნები როგორც მოქალაქეთა პოლიტიკურ თანასწორობას, ასევე მათ უფლებებსა და შესაძლებლობებს უზრუნველყოფს. როგორც წესი, დემოკრატიულ სახელმწიფოში არჩევნების ჩატარების წინაპირობა, სწორედ რომ სწორად შერჩეული სახელმწიფო მეთაურია, რაც გამომდინარეობს 21_ე საუკუნეში ინტერნეტის როლის საგრძნობლად განვითარებიდან. ამან ხელი შეუწყო ინფორმაციების უფრო მარტივად მოპოვებას, მაგრამ დადებით მოვლენებთან ერთად, მისი უარყოფითი შედეგებიც იკვეთება. ამის თვალსაჩინო მაგალითი კი არის ამერიკის შეერტებული შტატების 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნები კერძოდ, გარემოებები, რომლებსაც ზემოთხსენებული სახელმწიფოები საფრთხეების განსხვავებულად აღქმაში ავლენენ. გარდა თეორიული მნიშვნელობისა, მათ ერთი ძალიან საგულისხმო და ამავდროულად, ნეგატიური დატვირთვა გააჩნიათ, რაც გულისხმობს არაერთგვაროვან ხედვას. აღნიშნული დღესდღეობით, უმთავრესი ფაქტორია, რომელიც რეგიონული იდენტობის ჩამოყალიბებასა და სუბიექტებს შორის თანამშრომლობის პერსპექტივებს უშლის ხელს.

ნაშრომში ნათლად გამოიკვეთა, რიგი ექსპერტების მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის არჩევას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც სუპერ სახელმწიფოს მეთაურისა, რომლის მიერ გატარებული პოლიტიკა მნიშვნმელოვანწილად, განსაზრვრავდა ახალ მსოფლიო წესრიგს. რუსეთის სპეცსამსახურებს ჰქონდათ შესაბამისი შესაძლებლობა, არჩევნების პროცესზე კიბერ შეტევის საშუალებით ზეგავლენა მოეხდინათ. მაგრამ ბრალდების უშუალო დადასტურება ოფიციალურად არ

იკვეთება. საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება, ვერსიის დადასტურების შემთხვევაში ის იქნება საბაბი პრეზიდენტ ტრამპის იმპიჩმენტისა.

გამოყენებითი ლიტერატურა

1. **არჩილ კობალაძე, სანდრო ბარამიძე - ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია - თბილისი** 1993 ; - წიგნში განხილულია შეერთებული შტატების კონსტიტუცია
2. House Permanent Select committee on Intelligence. Report on Russian Active Measures. Chapter 2 Russian attacks the Unites States (p-22) March 22.2018 - მოცემულ წიგნში განხილულია რუსული საქმიანობა და განზრახვა ბოლო დროის ამერიკის არჩევნებში.

3. **რუსეთის ფედერაცია და ამერიკის შეერთებული შტატები გლობალურ პოლიტიკაში - გელა ირემაძე** - წიგნში განხილულია რუსეთი და ამერიკის პოლიტიკა, რუსეთის პოლიტიკა მისი ფედერაციის იდეები ასევე შტატების საგარეო პოლიტიკა
4. **საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი- დიპლომატია და სამართალი** - DIPLOMACY AND LAW. #1(2) 2017 - მოცემულ წიგნში განხილულია დიპლომატიური ურთიერთობები
5. **მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი - საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი-კრებული I. პოლიტიკურ- სამართლებრივი ლიტერატურის სერია. წიგნი** III. - ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია პუნქტობრივად და ვრცლად არის გადმოცემული კონსტიტუციური უფლება მოვალეობები.
6. **ბრუს ჯენტლესონი - ამერიკის საგარეო პოლიტიკა** - წიგნში ყურადრება გამახვილებულია საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის ძირითად საკითხებზე. მასში კარგად არის გადმოცემული თუ რა არის აშშ_ს ეროვნული ინტერესები

ინტერნეტ რესურსები :

1. **https://www.archives.gov/open/dataset-amendments.html**- შესწორებები და ცვლილებები, ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციაში. 1787 წლიდან 2014 წლამდე 10,06,2018
2. **http://gtu.ge/Journals/mas/Referat/ASU-2017(1_23)/216_219.pdf** - რუსეთის ფედერაციის ტავდაცვითი და კიბერშემტევი შესაძლებლობები 10,06,2018
3. **https://gipa.ge/res/docs/Russia_Cyber.pdf** - რუსეთის კიბერუსაფრთხოების შესაძლებლობები - ვლდამერ სვანიძე 15,06,2018
4. **http://russiancouncil.ru/uselection2016** - საპრეზიდენტოარჩევნების თავისებურებები 15,06,2018
5. **http://ilawge.blogspot.com**-კიბერ სამართალი, რუსეთის კიბერშესაძლებლობები 15,06,2018

6. **https://russian.rt.com** - საპრეზიდენტო არცევნების ფინანსირების თავისებურებები15,06,2018
7. **http://tass.ru** - რა სახის ბრალი მიუძღვის რუსეთ ამერიკის წინაშე 15,06,2018
8. **https://www.amerikiskhma.com** - საინფორმაციო ომის გაკვეთილები საქართველოსა და დასავლეთისთვის- ამერიკის ხმა. 15/06/18 ეკა მამალაძე
9. **http://socium.ge/downloads/socshesavali/politikuri-sistema.pdf** - პოლიტიკური სისტემა 19,06,2018
10. **http://socium.ge/downloads/politikurisociologia/politikur-sistemis-funqciebi.pdf**- პოლიტიკური სისტემის ფუნქციები 25,05,2018
11. **http://www.socium.ge/downloads/politikurisociologia/politikur-sistemata-tipebi.pdf**- პოლიტიკურ სისტემათა ტიპები 30,05,2018
12. **http://cyber.kvira.ge** - მსოფლიოს კიბერ სივრცის ბერკეტები-KASPERSKY_ის ფაქტორი 30,05,2018
13. **https://mediaclubgeo.wordpress.com/** - კვირის ამბები. ამერიკა რუსეთის ურთიერთობა 10,06,2018
14. **http://netgazeti.ge**- რუსეთი ამერიკის რთულ პარტნიორად რჩება 20,06,2018
15. **https://www.amerikiskhma.com** - არჩევნები და აშშ-ს მომავალი კიბერ უსაფრთხოება 10,06,2018
16. **https://www.ambebi.ge** - რას უნდა ველოდოთ ტრამპისგან ? რუსეთის ექსპერტების სავარაუდო პროგნოზები ამერიკის მოსალოდნელ ნაბიჯებზე. 15,06,2018
17. **http://law.edu.ru** - სამართლებრივი რეგულირება და სამართლებრივი პრაქტიკა 15,06,2018
18. **http://www.parliament.ge** - საარჩევნო სისტემები (კვლევითი დეპარტამენტი)- 18,06,2018
19. **http://nasrashvili.blogspot.com/2010/06/blog-post.html** - ბარაკ ობამას საგარეო პოლიტიკა -(19,06,2018)

20. http://books.wwnorton.com/books/webad.aspx?id=4294992837 - ამერიკის პოლიტიკური სისტემა (19,06,2018)
21. http://thehill.com/opinion/campaign/363331-with-democracy-under-attack-its-time-to-protect-american-elections - ამერიკის არჩევნებზე შეტევები (19,06,2018)
22. https://www.thedrinksbusiness.com - ხმის მიცემა არჩევნებზე, 20,01,2018
23. https://www.radiotavisupleba.ge - ამერიკის საპრეზიდენტო კანდიდატის ორი არაორდინალური კანდიდატი -21,06,2018